

26

1866-67

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

186⁶/₇.

№ 7, 8 и 9.

ГОДЪ ТРЕТІЙ

სამართლებლო

სახულიერო მახარებელი.

იანვარი, თებერვალი და მარტი.

ხუდუ-ს წ.

წელიწადი მეხამე.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА И К°.

ПОДПИСКА НА „ГРУЗИНСКІЙ
ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ“.

на 1866-67 годъ.

Журналъ „Грузинскій Дух. Вѣстникъ“, издается съ 1-го іюля 1864 г., по утвержденной Св. Синодомъ программѣ.

Подписная цѣни за годовое изданіе журнала: съ доставкою въ домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ „Прибавленіями“ на русск. яз.; безъ доставки же и пересылки 4 р.; „Прибавленія“ (для особливо подписывающихся) въ Закавказскомъ краѣ 1 р., а внѣ его—1 р. 50 к. с. По сей же цѣнѣ можно получать остающіеся въ маломъ числѣ экземпляры журнала за прошедшіе годы.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, въ квартирѣ редактора, подъ горою св. Давида, и въ канцеляріи правленія тифлисской дух. семинаріи, на имя профессора семинаріи, священника Г. Хелидзе.

პასუხი რედაქციისა:

სტატია, გამოცხადებული შემდგომი წარწერით: 9 მარტს 1867 წ.
დ. ხანი, ა. შ., არ დაიბეჭდება თუ ავტორის თავის სრული აღწერა
არ გვატყობს, — ეს წინასწარმდგომი განცხადება.

ბის მტეობად ჰიჩის ჰიჩ ჩუწნსა» (იხილ. წმიდის
 იოანე ოქროპირის, საუბარი 19 სახარებ. ზედა მატ-
 თესა). თზნიერ ამისა ოქროპირი შენიძნულ ჰყოფს,
 რომელ აქა თქმულ არს: «მიხსნენ ჩუწნ ბოროტი-
 სავან», და არა ბოროტთავან, იმა განსრახვითა,
 რათა ჩუწნ არას გვით არაოდეს არა ვმტეობდეთ
 მოყუასთა ჩუწნთა, რაოდენსაცა უნდა კვიძურებოდ-
 ნენ ივინი ბოროტსა და ვერავობდნენ ჰიჩის ჰიჩ
 ჩუწნსა: არამედ რათა მარადის ჩუწნდა შეძთხვე-
 ულსა ბოროტსა მიაჩემებდნენ ერთსა ვშმაკსა, რომ-
 ძელიცა მართლადაც არს უძთავრესი მიზევი ყო-
 ველთა კაცობრივთა სიბოროტეთა » (იხილ. იქვე).

ეშმაკი არს თუთ საშაშარი მტერი მათთვის, რომელნი სცდილობენ
 ცხვენებისა თვს.

უნდა შევნიძნოთ, რომელ სიტყვითა: «ბოროტი-
 სავან», რომელიცა განსხვავებულად მიეწერება
 მაკსა და რომელსაცა აქუს განსაკუთრებითი სიტყ-
 ხადე, მოკუკონება ჩუწნ კუალად განსაკუთრებითი
 დაფარულობა შესძენათა ამა უბოროტესისა
 ბიერესისა მტერისა ჩუწნისა; ხოლო თუთ ამითა



უძლეურესად ჩაეკონება ეოველსა დაუცხროძელად აქუნ-
დეს შესახებ მისა სულიერი ძღვიძარება და აღჭურ-
ვა ჰირის-ჰირ მისა ლოცვითა. ესრეთთა გაბრთ-
ხილებათადმი, ძღვიძარებისა და ლოცვისა უნდა
მიგვიძარათონ ჩუწნ თვსებათაცა, რომელნიცა მიეწე-
რებიან ამა მტერსა საღმრთოსა წერილსა შინა.
მას შინა ა.) წარმოადგება ეშმაკი განსაკუთრებით
საშიშრად მოწმუთათვს; ამისთვს რომელ ცბიერითა
ცთუნებითა თვსითა მას მოულოდებელად შეუძლიან
შთათხევა მათი უფსკრულსა შინა წარწემედისასა (ბ.
კორ. თ. 11. მუხ. 14, 15), ვითარცა მოეცა სამოთხესა
შინა ჰირჭლსა დედასა ჩუწნსა: ამა მიზეზისაგამო
მოცოქული ჰავლე, სწერდა რა კორინთელთა, აბრ-
თხილებდა მათ საშიშართა მისთა მანქანებათაგან:
«მეშინის თქუწნთვს, ნუ უკუწ ვითარცა იგი გუწლ-
მან აცთუნა ევა ზაკულებითა თვსითა, ეგრეთცა
განსწწნეს კონებანი თქუწნნი სიწროფობისაგან
ქრისტეს მიძართ» (ბ კორ. თ. 11. მუხ. 3. ბ). საღ-
მრთო წერილი წარმოადგენს მას ფრიად შემძლე-
ბელად ცილის წამებათა შინა ჰირის-ჰირ მოწმ-

მუნეთა, მწოდებელი მისა «მთავრად სოფლისა»
(იოან. თ. 12. მუხ. 31.), და თითქმის «ღმერთად
ამის სოფლისა» (ბ. კორ. 4. მუხ. 4. კ). წარმოად-
გენს სახედ განძვინებულისა ღოდისა, «მაჟვირალი-
სა», რომელი «მიმოვაღს და ეძიებს, ვინმეცა შთან-
თქა» (ა ჰეტრ. თ. 6, მუხ. 8.). ვარდა ამისა, ვი-
თარცა არა არს უსაძინელეს, უდაფარულეს დაუძ-
ღვიძარეს ამა მტერისა; ეგრეთვე არა არს ისრეთი
ადგილი, და ისრეთი დრო, ოდესცა იგი ეოვლის
ღონით არ ეძიებდეს, ანუ, უძჯომესად ვსთქუათ,
არა სწეუროდეს მას ჩჴწნი წარწყმედება. სადაცა
და ოდესცა მხოლოდ შეიძლებს, იგი დაუცხრომე-
ლად აღაშენებს ზირის-ზირ ჩჴწნსა დაფარულთა
მანქანებათა; რომლისა-თანა ჭსარკებლობს დროდ-
თაცა, ადგილითა, გარემოებაებითაცა, კაცის თჯე-
ბებითაცა, გონიერებითა მისითა და უკუნურებითა,
სიძარტლითა და ცილის-წამებითა; მოკლედ: ეოვლი-
თა რასაცა მხოლოდ შეუძლიან შემწე ეოფა მისი
აღსრულებასა შინა წარმაწყმედელთა მისთა განზ-
რახუათა.

ზირის ზირ ეშმაკის მანქანებისა ვერ არის დაუცხრომელად
მღვიძარება, და აღჭურვა ლოცვითა და სასოებითა უფალსა ზედ
ძალთასა.

ესრეთსა მღვიძარებასა შინა ამა მტერისა წარწემე-
დასა ჩუწნსა ზედა, ესრეთსა განმსადებულებასა შინა
მისსა ქმნად ჩუწნდა ეოვლისა სიბოროტისა, — რა
საკურველია ჩუწნცა ჩუწნის მხრით არ უნდა არა-
ოდეს მივეცნეთ სულიერსა უსრუნველობასა და უსაქ-
მოებასა, არამედ ეოველთჳს უნდა ვიუვნეთ მხად
ბრძოლასა ზედა მისთანა. გარნა ვინაოდვან, ეო-
ველსა მღვიძარებასა შინა განმსადებულებასა და
ძალის დატანებასა შინა ჩუწნსა, თჳთ თავით თჳ-
სით ჩუწნ არ შეკვიძლიან წარმატებით ვიქონიოთ
ზირის ზირ მისა მრავალ-კმელოვანი ბრძოლა; მა-
შა იესო ქრისტე სიტყუებითა: « მისსენ ჩუწნ ბო-
როტისავან », გვაძლევს ჩუწნ მოძღურებასა, რათა
ჩუწნ, შესახებ ბრძოლისა ეშმაკისათანა, არას დროს
არ ვიუვნეთ თავის თავზედ სასოების დამდებნი, არა-
მედ « დაუჭმდაბლდეთ წინაშე მტკიცესა ხელსა ღუ-
თისასა (ა. ჰეტრ. თ. ნ. მუხ. 6), ვითხოვდეთ შე-

წევნას უფლისაგან ძალთასა, « განვიღებოდეთ »
უძეტეს უფლითა მის მიერ და « სიმტკიცითა ძლიერებისა მისისათა » (ეფეს. თ. 6. მუხ. 10.); სიტყვითა: რათამცა ჩუქნ, რომელთა კვავს ესრეთი მტერი, არა ხოლო დაუცხრომელად ვიღვიბებდეთ, ვითარცა შვილნი ნათლისანი, აჩრდილსა ქუჩაჲს სარწმუნოებისა და კეთილთა საქმეთასა; არამედ ერთად დაუცხრომელადცა ვილოცვიდეთ მომხსენებელნი მაცხოვრის მოძღურებისანი —: « იღვიბებით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა » (მატთ. თ. 26. მუხ. 41.).

კედრება დაცვისათჳს ცოდვითაგან.

მკედრებელნი უფლისა ძალთასა გამოხსნისათჳს ბოროტისაგან, გინა ეშმაკისაგან, რა საკურფელია ჩუქნ უნდა მასთანავე ვეკედრნეთ მას მისთვისცა, რათა იგოვე გვიცავდეს ჩუქნ, ღუთაებრივითა ძაღლითა თჳსითა, ბოროტთა საქმეთაგანცა, ესე იგი ცოდუათაგან (იხილ. მართლ. აღსარებ. აღმოსავ. ეკკლ. ნაწ. 2. კითხ. 25. — იხილ. თხზუ. წმიდის დიმიტრის როსტოველისა ნაწ. 1. სარკე მართლ. აღსარები-

სა, განმარტება საუფლოდსა ლოცვისა, კვერდ. 367.—
იხილ. საქრისტ. საკითხავი 1822 წ. ნაწილი 4.
განზრახ. საუფლოდსა ლოცვისა-თვს კვერდ. 335),
რომელთა მოციქული უწოდებს საქმეებად ეშმაკისა
(ა იოან. თ. 3. მ. 8), რადგანაც ესე მართლადაც
არს ზირველ-დაწეებითი მიხესი უოველთა ცოდუა-
თა, რამეთუ დასაბამიდგან მან შესცოდა (იქვე). ცო-
დუას შეიძლება უწოდოთ საქმედ ბოროტისად, არა
მხოლოდ ვითარცა წარმოებასა ბოროტისასა, არა-
მედ საკუთრისა-მებრ მისისა თვსებისა; რამეთუ
იგი მომატუებელ არს, ვითარცა სოდომური ვაშ-
ლი. ვაშლი ესე, გარეგანობათა თვსითა, არს ფრიად
მშვენიერი მიმხიდველ თუალთა, ფრიად მრავალსა
ადუთქვამს კემოსაცა, გარნა შინაგან მისა შეიცვიან
მხოლოდ მტვერი და ნაცარი (იხილ. წმიდის იოანე
ოქროპირის საუბარი ზირ. ეპისტ. თესალო. თ. 4.
ზნეობ ისწავ. 8 ფურცელი 2285 და შემდ — იხილ.
თხზუ. წმიდის დიმიტრი როსტ. ნაწილი 4, წელთა
აღწ. ნაწ. 2, კვერდ. 87). მსგავსითა სახითა ცო-
დუაცა, ესე აღკრძალული ნაყოფი, წარმოუდგება კაც-

სა თურიად საამოდ და მაცთუნებელად გრძნობათა-
თვს მისთა; გარნა მას შინა დაიძალუაი თესლნი
ყოვლისა ბოროტისანი კაცისა-თვს, ყოველთა სუნ-
თა მისთა, მწუსარებათა, თვთ სიკჳდილისა (იაკო.
თ. 1, მუს. 15.), ჟამიერისა და საუკუნოდსა. ამის-
თვს სიტყუებითა: «მისსნენ ჩჳსნ ბოროტისაგან»,
ჩჳსნ ვევედრებით მამასა ზეცათასა მისთვსაცა, რა-
თამცა მანვე სათნო იუოს დაცჳად ჩჳსნდა «მეუ-
ცოდებელად და უბიწოდ» (იუდ. მუს. 24.), რომელ-
თაგან ჩჳსნ თვთ თავით თვსით დაცჳად ვერ შემ-
ძლეძელ ვართ (რომ. თ. 7. მუს. 15, 18, 19,
20, 21).

3. კედრება შესახებელად უბედურებათა აწ-მდგომისა ცხოვ-
რებისა.

სიტყუით «ბოროტისათა». შესაძლო არს ვიკულის-
ხმით კჳალად უბედურებანი და მწუსარებანი აწ-მდგომი-
სა ჩჳსნისა ცხოვრებისანი (იხილ. მართლ. მადი. აღსა-
რებ. აღმოსავ. ეკკლეს. ნაწილი 2. კითხ. 25 იხილ. თხზუ.
წმიდის დიმიტრი როსტო. ნაწ. 1. განმარტება საუფ-
ლოს ღოცვისა კვერდ. 367.), ვითარცა წარმოე-

ბანი ცოდუათანი. და ვითარცა ესრეთი ბოროტი, რომელშია ც ეგრეთვე შთავგაგდო ჩუწნ ეშმაკიანი. მოწმობისა-მებრ საღმრთოდასა წერილისა, ჰირველ-მომელნი ჩუწნნი გამოვიდნენ ხელთაგან შემოქმედისა უხაკველად და ჰირჭულად ჰსჭამდნენ სამოთხის სიტკბოებათა; გარნ ეშმაკიანი შურითა საჩქაროდ დაარღვია მათი კეთილ-დღეობა, ცბიერად მიიხიდნა რა ივინი ცოდუასა შინა; მასვე ჟამსა, დასასაჯელად ამისთვის, განდევნილ-იქმნენ სამოთხისაგან, და მიცემულ შრომითა, ჭირთა, უბედურობათა და მწუხარებათა. ესე მწარენი ნაყოფნი ჩუწნთა ჰირველ-მომბელთ დაცემისანი, ერთად ცოდვისათანა გვხვდნენ მათგან წილად ჩუწნცა ეოველთა, ვითარცა «უსჯულოებათა შინა მიდგომილთა და ცოდუათა შინა მობილთა» (ფსალ. 50. მუხ 7). აჰსა რადასათვის ჩუწნ ეოველნი ცხოვრებასა შინა თვისსა შევრდომილ ვართ, დიდად გინა მცირედ, სხუა და სხუა გვართა შრომათა შინა, და ჭირთა, უბედურკებათა და მწუხარებათა. რომელნიმე ჩუწნგანნი უბედურკობენ შეურაცხებთაგან, შეიწროებათა და

ცილის-წამებისაგან: რომელნიმე შეიწროებულ არიან განკიდურითა სისაწყელითა და გლახაკობითა; რომელნიმე მწარედ სტირნიან დაკარგვასა მონათესავეთა, მცნობთა და სხუათა სახლობის უბედურობათა; ხოლო სხუათა მოეკლნებიან ფიცხელნი სნეულებანი. გარდა ამისა, დროებითად, გვეწვიან ჩუწნი საზოგადონიცა უბედურებანი: ხან აღმაოხრებელნი ბრძოლანი და ურთიერთის შორის ლაღვანი, ხან სიემილი და სენი. ხოლო ზოგჯერ აღსდგებიან ჩუწნი ზედა, ცოდუათა-თჳს ჩუწნთა ჰილის-ჰირ მუთისა ქმნულთა-სა, თჳთ ბუნებისა სტიხიონნიცა: ცეცხლი, მიწა, წყალი, ჭყერი აწარმოებენ საშუალ ჩუწნსა აონრება-სა, დაქცევასა და ზარ-განხდილებასა (აქა ითქმის დაწვათა-თჳს, დეღვათა-თჳს, სასტიკთა ქართათჳს და მისა მსგავსებისა-თჳს). დროსა ხილვისა ესრეთთა უბედურობათა, წარმავალი ქუჭენისა არ შეიძლება არ შემწუნდეს, მით უმეტეს, რომ თჳთ თავით თჳსით მას არ შეუძლიან არა ხოლო თუ დაცუა თჳსი მათგან, არამედ წინათ განჭკრეტაცა მათი. ხოლო ამან უნდა მიძარტოს იგი დაუცხრო-

მელსა ღოცვასა წინაჲმე მამისა ზეცათასა, რათა
თუთ უოვლად-სახიერმან და უოვლისა-მეცნიერმან
მოწუალებით მიიღოს იგი, «მაშურალი და ტურთ-
მძიმე», წმიდასა საფარველსა ქუჭმე თუსსა, რომ-
ლისა ქუჭმე დაიფარვიდესცა მას, რომელთამე უბე-
დურებათაგან, უკეთუ შესაძლებელ არს (მატთ. თ. 26.
მუს. 39). სრულებით, ხოლო სხუათა შეამცირებ-
დეს მაინცა, გინა აღახუბუქებდეს, და საზოგადოდ
განამტკიცებდეს მას მოთმინებისადმი მათთა, საღ-
მრთოდთა მადლითა თუსითა.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე .

დიდების-მეტეველებისათვის საუფლოდსა ღოცვისა:

„წამეთუ შენი არს სუთეკა, და ძალი და დიდება საუკუ-
ნეთა მიმართ. ამინ.“

დიდების მეთეველებათა საუფლოდსა ღოცვისათა აღიძვრის კუ-
თილ-მოწიწება ღმრთისა მიმართ.

როგორც ღოცვის დაწებაში სიტყვებითა: «მა-
მაო ჩუწნო, რომელი ხარ ცათა შინა», მლოცუ-
ველნი განწუობილ იუვნენ აღმატებულისა ძეებრი-
ვისა მოსაუბრობისადმი ღმრთისა თანა; ეგრეთვე სიტ-
ყვებითა, რომელნიცა შეიცვიან დაბოლოებასა შინა,
მოესსენების მით, რომელ ჟამსა ღოცვისასა თუთ
უსენაესი წინაუდგს მათ ყოვლით დიდებულებითა თუ-
სითა, და რომელ მისთვის, რათა დროსა თვისსა
ვედრებისასა იგინი ვალდებულ-არჩიან ყოვლითა ძა-
ლითა ცდილობდნენ მისთვის, რათა უძღვნიდნენ
უფალსა ყოველსა ჯეროვანსა პატრივის-ცემასა, შე-

საბამსა მისისა აწსებისადმი (იხილ. ვრც. ქრისტ. კატენ. გამოც. უწმი. სინოდისა მიერ, ნაწ. 2, საუფლო ლოცვისათჳს), მოწმობისა - მეზრ გამოცხადების წიგნისა, დაჯარდებიან, «ოცდა ოთხნი იგი მღჳდელნი წინაჲ საუდარტა მჯდომარისა მის, და თაჳვანის-ცემენ მას, რომელი იგი ცხოველ აწს უკუნითი უკუნისადჲ, დასდებენ კვირკვინთა მათთა წინაჲ საუდრისა მის და იტყვიან: ღირს ხარ შენ უფალო მიღებად დიდებისა და ჰატვიისა და ძლიერებისა, რომეთუ შენ დაჰბადენ ეოველნივე, და ნებითა შენითა იყვნეს და დაებადნეს » (გამოც. იოან. თ. 4. მუხ. 10, და 11). ხოლო უკეთუ ესე მაღალნი სიწმიდითა მსახურნი ზეცვიერისა ტრანჳისისა უზენაესისანი, ესოდენ კეთილ-მოწიწებით დაჯარდებიან წინაჲ დიდებულებისა მისისა. მაჲა ჩჳწნ, თიხიერტა და უღირსტა ქმნულებატა, შევრდომილტა უფლისადმი ლოცვითა, აწ უნდა მიუძღჳნოტა მას ეოველივე ჰატვიისცემა, ვითარციცა მხოლოდ მაღკვიძს?

დიდების-მეტყველებს განამტკიცებს მლოცველთა შორის სასოებისა
დმეტოსა ზედა.

დიდების-მეტყველებს საუფლოდსა ლოცვისა შეიტავს
თვს შორის მტკიცესაცა განმღიერებასა სასოებისასა
მლოცველთა შორის, რომელ მამა ზეციერი ალა-
სრულებს ყოველთა ღირსთა და სულის-მისაგებელ-
თა თხოვათა მათთა (ა. იოანე თ. 5. მუხ. 14, 15);
რამეთუ აქა მოესხენების მათ საუკუნოდსა სუფევ-
სათვს, ძალისა და დიდებისა ამა ყოვლად სახიე-
რისა მამისა, რომლისადღა აჯავლენენ იგინი თხო-
ვათა თვსთა (ინილ. ვრცე. ქრისტ. კატეხ. გამოც.
უწმ. სინოდისა მიერ, ნაწ. 2, საუფლოდსა ლოც-
ვისათვს). მართლადაც უკეთუ მლოცველნი ცხოვე-
ლად წარმოიდგენენ ჭაზრთა შინა თვსთა, რომელ
გამოითხოვენ თავისა თვისისათვს ნიჭთა ესრეთისა
მამისაგან, რომელიცა არს მეუფე და უფალი მსოფ-
ლიოდსა, ყოვლისა ხილულისა და არს ხილული-
სა, და რომლისა ძალსა და შემძლებელობასა ჭკო-
ნებს ყოველივე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა: მა-
შინ ნამდვილად უნდა დაიბადოს მათ შორის მით

უდიდესი, სასოება მიღებასეგდ თხოვილისა, უნდა დაემკვიდროს მათ შორის მით უდიდესი, ძეებრივი მინდობა ნებასა ღუთისასა, რომელიცა იგინი დას-
დებდნენვე ეოველთა ზრუნვათა თვსთა მას ზედა, რომელი « ზრუნავს » მათთვის (ა. ჰეტრ. თ. 5. მუხ. 7.); უნდა დაიბადოს მათ შორის ის მტკიცე დამშვიდება ღუთისა მიძარით, რომლისა მეზრ კაცსა თვთ ძვირ-ხილულთა გარემოებათა შინა ცხოვრე-
ბისათა შეუძლიან ჰრქუას სულსა თვსსა: « რად მწუ-
ხარე ხარ სულთა ჩემთა, ანუ რად შეშადრწუნებ მე; ესევედ ღმერთსა » (ფსალ. 41. მუხ. 6.).

დიდების-მეტყუელება, გინა დაბოლოება საუფლეს ღოცვისა, განა-
მტკიცებს მლოცველსა ბრძოლასა შინა სულიერთა მტერთა თანა.

იესო ქრისტესა მასწავლელსა ქრისტეანეთასა ღოცვის დროს მოხსენებად საუკუნოდსა სუფევისა-
თვს, ძალისა და დიდებისა ღუთისა, ჰნებავს კუა-
ლად ამის მიერ ჰქმნას იგინი უმეტეს სულგრძე-
ლებად და გამბედავებად შესახებ ბრძოლისა სული-
ერთა მტერთათანა; განსაკუთრებით შესახებ « ბრძო-
ლისა მთავრობათა მიძარით, და კელმწიფებათა, სულ-

თა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქვეშე» (ეფეს. თ. 6. მუხ. 12.), რომელსა ბრძოლასა ზედა მცნებულ იყო წინათ თხოვათა შინა საუფლოდსა ლოცვისათა, რათა ვითხოვოთ შეწევნა ზეგარდამო. ნამდვილად, უკეთუ მხედარნი ქრისტესნი მოღვაწენი სულიერსა ბრძოლასა შინა, არა მარადის მოიხსენებენ, რომელ მამა ზეცოერი ჭმართავსა მათს სიცოცხლესა, მას მხოლოსა დამორჩილებულ არიან ეოველნი ბოროტნი სულნიცა; ეგრეთვე, რომელ, იგი არს უშემძლებელესი და უდიდესი ეოველთა და მისთვის «არავის ხელეწიფების მიტაცებად მათდა ხელთავან მისთა» (იოან. თ. 10. მუხ. 29); და ღუთაებრივსა ძალსა მისსა ძალ-უძს «სრულ-ყოფა უძლურებასა შინა მათსა» (ბ. კორ. თ. 12. მუხ. 9). თვთამას ძალ-უძს აქუნდეს მაცხოვარებითი მოქმედება სულთა ზედა მათთა; ძალ-უძს მაცემად მათდა იმა შეურყეველსა ბრძოლასა შინა სიმტკიცისა, რომლისა თანა მოღვაწეთა მშვიდობიანად შეუძლიანთ თქმად მოციქულისა თანა: «უკეთუ ღმერთი ჩუწნ კერძო არს, ვინარს ძვირის მეოფელ ჩუწნდა»

(იქვე მუხ. 38), რაოდენ ძლიერ, და რაოდენ შესაძრწუნებულ არს სული ბოროტი, და რაოდენ მეორის მხრით სუსტ-არს, უძლურ ბუნებისა მებრ თვისისა კაცი; გარნა ძენი მაღლისანი, შეწევნითა ზეგარდამო, მარადის მძლე ექმნებიან მტერსა ცხოვნებისასა (ბ. კორ. თ. 2. მუხ. 14).

სწავლა დიდების მეტყველებაზედ ოქრო ზირისა.

ამა საგანზედ მშვენიერად ჰსჯის წმიდა იოანე ოქრო-ზირი: «იესო ქრისტე, იტევის იგი, გვაძაღებს რა ჩუწნ ღუაწლისადმი ბრძოლასა შინა, ზირველად მოგონებათა მტრისათჳს, გვაძცნებს ჩუწნ სიფრთხილესა და განსდევნის ჩუწნგან ყოველსა დაუდევნელობასა; ხოლო შემდგომ კვალად გვხდის ჩუწნ გამბედავებად და ამხნეებს სულსა ჩუწნსა, ოდესცა იხსენებს მეუფესა, რომელსა ჩუწნ ვმსახურებთ, და გვაჩვენებს, რომელ იგი არს უშემძლებელესი ყოველთა, სიტყვებითა: «რამეთუ ძენი არს სუფევა, და ძალი, და დიდება». და ესრეთ, უკეთუ მისი არს სუფევა, მაშა არცა

უნდა გვეშინოდეს; რამეთუ ვერ ვის ძალ-უძს წინააღმდეგობა მისი, არცა განყოფა ხელმწიფებისა მისისა. ეგრეთვე სიტყვებითა: «შენი არს სუფევან», უფალი გვამცნებს ჩუწნ, რომელ ესეცა მტერი დამორჩილებულ არს მისა, თუძცა როგორც სჩანს ჯერეთ კიდევ ეწინააღმდეგება მიძვებისა მეზრ თუთ ღუთისა: ვინაჲდგან იგიცა არს რიცხვისაგან მონათა მისთა, მხოლოდ დასჯილთა და განხვებულთა: და არ შეუძლიან არა ვის კაცთაგანსა ზედა დასხმა, ვიდრემდის იგი არ იქმნება მიძვებულ ზეკრდამო, და რას ვიტყვი,—კაცთაგანსა ზედა,—არ ეძლო მას ზედა დასხმა ღორთაცა ზედა,—ვიდრემდის თუთ უფალმან არ მისცა ნება მას,—არვეთა ზედაცა ცხოვართა და ზროხათასა, ვიდრემდის ამაზედაც არ მიიღო ნება რთვა და უფლება. და ესრედ, თუძცა რომ შენს თავს ჰკრძნობდე ძალიან სუსტად, გარნა მაინც უნდა გაბედვით წინააღუდგე მას; რადგანაც იღუწი ხელთ-მძღუანველობასა ქვეშე ესრეთისა მეუფისასა, რომელსა ადვილად შეუძლიან შენ მოეცა აღსრულება დიდებულთა საქმეთა. სიტყუანი: «მი-

სი აწს დიდება საუკუნეთა მიძარტ, ამინ», ჭნიშვნენ, რომელ ღმერთს შეუძლიან აწს ხოლო გამოხსნა შენი შემთხვეულთა ბოროტთაგან, აწამედ ქმნაცა შენი დიდებულად და ჩინებულად. რამეთუ ვითარცა შემძლებლობა მისი დიდ აწს, ეგრეთვე დიდებაცა მისი გამოუთქმელ აწს; და უოველი ესე უსაზღჳრო აწს, და აწს აქჳს აწს ვითარიმე დასასრული. ზედავა, თუ ვითარ მაცხოვარმან უოველის ძხრით განამტკიცა მოღჳაწე, და დანერგა მის შორის გაბედვა» (იხილ. წმიდის იოანე ოქროპირ. საუბარი 19 სახარებ. ზედა მატ)?

სიტყვისათჳს: ამინ.

სიტყჳა: ამინ, ქართულად ნიშნავს: ჭემმარიტად. მოძღჳრებისა მებრ იესო ქრისტესსა, უფლისა ჩჳწნისა, ჩჳწნ უნდა წარმოვსთქჳამდეთ ამა სიტყჳასა ღოცვების დასრულებაში გამოსათქმელად მისა, რომელ იგი წარმოითქმის სარწმუნოებითა და თჳნიერ უოველისა იჳვისა. (იაკო. თ. 1. მუს. 6).

დიდების-მეტყველებს საუფლოდსა ღოცვისა უნდა ყოველ-
თჳს შეერთებულ იქმნებოდეს ამა ღოცვისათანა.

გამსჯელნი ჩინებულებისა-თჳს ჭასრისა დიდ-
ების-მეტყველებისა საუფლოდსა ღოცვისა, არა ოდეს
არ უნდა განგჭყოფდეთ მას თჳთ ღოცვისაგან, არა-
მედ უნდა წარმოვსთქუამდეთ მისთანა ერთად; რამეთუ
იგი საჭირო არს მრთელსა ჭასრისა შინა მისსა. და
მისგან ღოცუა მოწმუნისა მიძღებლობს დიდსა
ძალსა (იხილ. წიგნი მართლ. აღსრებ. აღმოსავ. ეკ-
კლეს. ნაწი. 2. კითხუა 28). მასთანავე წარმოთქმულ-
არსცა უფლისა მიერ კავშირისა შინა ღოცვისათა-
ნა. (მართლ. მად. აღსარებასა შინა თქმულ არს, რა-
მელ დროსა საზოგადოთა ღოცუათასა დიდების-
მეტყუელეებასა წარმოვსთქუამს მღუდელი, უკეთუ
იგი არს, დიდისა წარჩინებულისა თჳს, ვითარცა
ჭბრძანა ესე ეკკლესიამან.).

თ ა ვ ი მ ე ა თ ე რ თ მ ე ტ ე .

შოკლენი მოძღვრების განმარტების შემდგომ საუფლოდსა
ლოცვისა.

1. საუფლო ღოცუა არის დაუფასებელი ნიჭი ზეტათა.

სწავლისაგან საუფლო ღოცუასედ არ შეიძ-
ლებს არ განვიხილოთ, თუ რაოდენ იგი ჩინებულ
არის, და რაოდენ მრავალსა შეიცავს თჳს შორის!
მოკლესა მისსა სისრულესა შინა შეიცვის, ვითარ
ვიხილეთ ჩუწნ, დაუღვენელი სიუხვე ჭაზრთა,—და-
იტევის ყოველი, რაჲცა მხოლოდ შეიძლება იყოს
ოდესმე საგნად ღოცუათა, ვედრებათა, თხოვათა და
მადლობათა ჩუწნთა ღუთისადმი და წმიდათა მის-
თა. ესე არის დაუწვეველი მადლის წყარო, მო-
მწვეული მართლის მსოფლიოს ეკლესიისა, ვი-
ნა ყოველთა მართლმადიდებელთა სულთა, განთე-
სილთა ზირსა ზედა ქუწყანისასა, რომელთაგან აღი-

წევის გუნდრუკი ლოცუათა ტრანჰეზისადმი მამისა
ზეცათასა. ესე არს სარწმუნო გასაღები, განძე-
ბელი მოწმუნეთადმი უოველთა ზეცვიერთა საუნ-
ჯეთა, სახმართა «საცხოვრებელად» მათდა «და ღუ-
თისა» სამარხურებელად (ბ. ჰეტრ. თ. 1. მუს 3.),
და საჭიროთა აწ მდგომისა და მომავლისა მა-
თისა ცხოვრებისა-თჳს. ესე არს კიბე დამყარებუ-
ლი ალთქმის ანგელოზისა იესო ქრისტეს მიერ
ქუჭყანასა ზედა და მიმაწითამელი ცადმდე, რომლი-
სა საშუალობითა, ვითარცა ალვლენან ზენას ტრა-
ნეზისადმი უზენაესისა, უოველნი კეთილნი თხოვა-
ნი და ვედრებანი მოწმუნეთანი, ეკრეთვე შთამოვ-
ლენანცა მათ ზედა ზეგარდამო უოველი მოცემა
კეთილი და უოველი ნიჭი სრული (იაკ. თ. 1. მუს.
17.). « ერთმან მხოლოდ-მობილმან ძემან ღუთი-
სამან, რომელი იყო წიაღთა მამისათა » (იოან.
თ. 1. მუს. 18.), და რომელი გარდამოხდა ზეცით,
შეიძლო მოწმევა ჩუჭნდა ზეცით ესრეთისა გა-
მოუთქმულის ნიჭისა.

2. ჯერაწს სარგებლობა ამა ნიჭითა დაუცხრომელად.

სარგებლობა ამა ნიჭითა ჯერ არს, არა ვიტ-
ვი, ეოველ დღე, არამედ ეოველსა ჟამსა. რამეთუ
უკეთუ, სწავლისა მებრ სანარებისა და სამოცი-
ქულოდსა, მცნებულ არს ჩუწნდა «მოუკლებელი
ლოცუა » (ლოკ. თ. 28. მუს. 1. თ. 21. მუს. 36 ა.
თესა. თ. 5. მუს. 17. ეთეს. თ. 6. მუს. 18): მა-
შა სხუა გუარად როგორ შევიძლებთ აღსრულებასა
ამა საღმრთოდსა მოვალეობისასა ქრისტეს შედგო-
მილთასა, თუ არა მივიძრთავთ, თანხმად საუფლოდ-
სა ლოცვისა, გონებათა და გულთა ჩუწნთა ზეციე-
რისა მაძისადმი ეოველსა ჟამსა, ეოველს საქმეში,
მდგომარენი, მჯდომარენი და მოსიარულენი, მილად
მიმაჟალნი, და მილისაგან აღდგომილნი, მუშაკნი,
ჟამისა და სმის დროსა, ცალკე ეოფნაში, და სა-
ზოგადოებაში!

3. რათა ღირსეულად აღვაკლინთ ლოცუანი მაგალითისა მებრ
ქრისტესსა, საჭირო არს ცხოვრება გარდამოცემულისა მის
მიერ სწავლისა-მებრ.

უნდა ეოვლის შეძლებით ვსცდილობდეთ, რათა
ვჭეოფდეთ თავთა ჩუწთა ღირსად და შეძლებელად

ლოცვისადმი მამისა მიმართ ზეცვიერისა, თანახმად
ჰაზრისა ამა ლოცვისა. ხოლო ამას მისწუდება
მხოლოდ ისა, ვისცა აქუს გული წმიდა, და
ვინცა ცხოვრებასა თვისსა მართავს შესაფერად
ჰაზრისა სახარების სწავლისა; რამეთუ ცხოვრება
და ლოცვა გამოდინარებენ ერთისაგან წყაროდსა—გუ-
ლისაგან კაცისა; რამეთუ «გულისაგან არიან გამო-
სავალნი ცხოვრებისანი» (იგავ. თ. 4. მ. 23) გული-
საგან კეთილისა რა საკურეულია დაიბადება კეთი-
ლი, და წინააღმდეგ გულისაგან ბოროტისა, ბო-
როტი: რამეთუ ვერ გელ-ეწიფების ხესა კეთილსა,
სიტყვათა-მებრ მაცხოვრისა ჩუწნისათა, ნაყოფისა
ხენემისა გამოღებად, და არცა ხესა ხენემსა ნაყოფი
კეთილი ეოფნად » (მატთ. თ. 7. მუხი 18.). რასაკურ-
ეულია, რომელ ვიდრემდის ჩუწნ არ ვეცდებით
განწმედასა და გამართვასა გულისა თვისისანი
სწავლისა მებრ ქრისტესსა; იქამდისინ ცხოვრება
ჩუწნი არ შეიძლება შეიქმნას ჭეშმარიტ-ქრისტეა-
ნურად. თანასწორ ლოცვადაც ჩუწნი არ შეიძლება
იყოს წმიდად და სათნოდ ღუთისა: ვინააღგან

მღვრივისა და არა წმიდისა წყაროდსაგან არა შე-
იძლება აღმოვივსოთ წყალი წმინდა და კეთილი
(იაკ. თ. 3. მუხ. 12.).

4. საჭიროა წარმოთქმა საუფლოდსა ღოცვისა განსაკუთრებითა
ეურად-ღებითა და კეთილ მოწიწებითა.

უნდა კვაქუნდეს საუფლოდსა ღოცვისადმი ეოვ-
ლად-შესაძლებელი კეთილ-მოწიწება და ვსცდილობ-
დეთ აღვლენასა მისსა განსაკუთრებითს გულს-მოდ-
გინებითა და ეურად-ღებითა, მომასსენებელთა, რომ-
მელ იგი გამოვიდა ზირისაგან თუთ იესო ქრის-
ტესსა. რამეთუ უკეთუ ჩუწნ ღირს ვიქმნებით, თანა-
შეწევნითა მადლისა ღმრთისათა, ღირსად აღვლენასა
იმა ღოცვისასა: მაშინ ზეცვიერი მამა სცნობს მას
შინა სიტყუათა მხოლოდ-შობილსა მისა თვისისა-
თა, შეისმენს ჩუწნთვს შუამდგომელობასა მისსა,
განაღებს ჩვენთვს დაუღვენელთა საუნჯეთა თვისის
მოწყალებისათა და მოჭჳენს ჩუწნ ზედა ზეცვიერთა
მათ თვისთა კურთხევათა.

5. საჭიროა შეთანხმება ჭაჭრისათვის, ამა ლოცვის სახისა უოვლისა ვედრებისა ჩუქნისა.

ჩუქნ უნდა ვრცხდეთ საუფლოს ლოცვასა უმ-
თავრეს და მხოლო თავისა თვისისა თვს სახედ
აღვლენის დროსა უოვლისა ქრისტიანებრივისა ვედ-
რებისასა. და ამისთვის რა გვართაც უნდა შეკვემ-
თხუას ჩუქნ ოდესმე აღსრულება წინაშე ღუთისა
თვსთა ვედრებათა, საქებულთა, განა საძადლობელთა,
სათხოველთა, გინა სასინანულოთა მარადის მოვა-
ლენი ვართ გუაქუნდეს სახეში ესე უმაღლესი ლოც-
ვა. და ვეცადნეთ, რათამცა აღვლენილი ჩუქნ მიერ
ვედრება მიუცილებელად თანახმა იყოს მისთანა ჭაჭრ-
სა შინა თვსსა.

ნაყოფი სინანულისა.

მეთხრობა ჰიკელი.

„აწა მოკედ წოდებად მართალთა, აწა-
მედ ცოდვლთა სინანულად“.

(მარკ. 2. 17).

ეგვიპტის ქალაქსა შინა ჭსტხოვრებდა კაცი ვინმე სახელად სი-
დონი, რომელსა დაებადა ასული და უწოდა სახელად ტასია. ქალი
ესე იყო ფრიად მშჳწნიერი ჰიკითა და კუთილ-სანახავი, ხოლო მა-
მამან ამა ქალისამან, კუთილ-მსახურმან და მოშიშმან ღჳთისამან,
აწა ნახა სოფლისა ამოება, რომელსა მოესმინა საღმრთო წერილისა-
განცა, რომელ „სოფლისა ამის სიუწარული მტეობა აწა ღჳთისა“
ერთს უამს გამოეთხოვა ცოლსა და ურმას ასულსა თჳსსა, დაუტევა
სოფელი და უკუელვიუ სიუწარული და ზრუნვა სოფლისა და და-
უუდა ერთსა უდაბნოსა შინა. გაწა ბოლოტმან ცოლმან მისმან
მშჳწნიერი იგი ასული თჳსი, სიუწმითვე დაადგინა ადგილსა წაწსა-
წემედელსა, რომელიცა, რომოკათაცა იყო მინიჭებული ბუნებისაგან
ჭაეროვნებითა და სიტუროითა, ეკრეთვე იყო ნიჭიერი გონებითაცა
და ენამჭეუკრი. სახელი მშჳწნიერებისა მის მსწრათუღ განითქვა შოკ-
საცა ადგილებთა შინა და ისმოდა უკუელთაგან სიკეთე ნაწინაობისა
მისისა და მრავალნი მოვიდოდნენ შოკით მასთჳს და ვერ განსძლე-
ბოდნენ სიკეთითა ჰიკისა მისისათა, და ერთადვე სტებებოდნენ

მშუწნიერ-სიტყუაობითათა აღესითა მისითა, და გარეშეთა მგ-
ვრეტელთაცა მისთა აღეტუდებოდა აღი მშუწნიერებისა მისისა, რომ-
ლისათჳს მწავალნი მონაგებთა და საუნჯეთა თჳსთა განსუიდიდეს და
თჳთ გლახანიცა სამოსელთა თჳსთა, წათამცა მიემთხვიენენ მისთანა
გულის-თქმათა.—

ესმა წა ბოლო-მთქმელებად მშუწნიერის მის ასულისა მამა-
სა მისსა სიღონს, რომელსა ეწოდა სერაპიონ, შესწუხდა და სტიროდა
მწარედ წარწყმედისათჳს მხოლოდ-შობილისა ასულისა თჳსისა, რომ-
ლისა გამახსნისათჳს შეიმოსა მან სამოსელი ერისკაცისა, გამოითხოვა
ნებაწთჳად წინა მძღვრისაგან თჳსისა, წარიღო ერთი დრახმანი და
წარვიდა ადგილსა მას წარსაწყმედელსა, სადაცა ცოლსა მისსა დაედ-
გინა ასული იგი თჳსი. ბერმან ამან იხილა წა ასული თჳსი სამკა-
ლასა შესამოსითა, სულ-ითქმიდა და ცრემლუოდ, განწა ითმენდა
მკაცრად და დათარულად ქალისა, იწმუნდა მწარეთა ცრემლთა თჳსა-
თაგან თჳსთა, წათამცა აწა განეცხადებინა მისთჳს მშობლიურნი სურ-
ვილნი და სიუწარულნი. გამოიღო დრახმანი იგი, მისცა ქალსა და ქალ-
მან მიიღო წა მასგან ძღვენი იგი, სიხარულით შეიყვანა სადგურსა
თჳსსა უცნობი იგი კაცი, უჩვენა მას ცხედარი დაგებული მაღალსა
ადგილსა, აღვიდა მას ზედა თჳთ ქალი და მას მოსრულსაცა უბრძანა
აღსკლად თჳსთანა, ხოლო ბერსა მას, ვითარცა ესმა მიწოდებად
ქალისაგან ცხედარსა ზედა ჰკადრ ღმობიერითა სიტყუათა თხოვნად:
მშუწნიერებო ჩემო! თუ გაქვნიდეს შინაგან სხუა განსასვენებელი
მუდრო, შემიყვანე მე მას შინა და იქ განისვენოთ ურთიერთის
სიუწარულთა. ქალმან განკვირებულმან ესრეთსა მოწიწებითსა ქცე-
ვასა ზედა უცნობელისა მის კაცისასა, და აწა სხუათ ჩუწულებათაებრ
მსწრაფელ შემოფოფნებულთა ტურთათა ღაწეთა და ბავეთა მისთა,
უზასუხა: უცნობო! მაცტებს მე ესუკითარცა თხოვად შენი და გულ-
გრილობად, თუ კაცთაგან გეშინის, აქა აწა ვინ გხედავს, და
უკეთუ გეშინის ღუთისაგან, ამას გეტყვი: ღმერთი ყოველგან აწა

და სადაც შევიდეთ გვხვდებიდეს იგი, მაშინ გულ-მტკივნეული მშობელი იგი აღივსო შინაგან სიხარულითა და ჭმადლობდა ღმერთსა ყოვლისა შემძლებელსა, მეტყველი თუ შორის, რომელ ამას შეძასას ასულსა მისსა, ჭსტოდნის სახელი უფლისა და ჭქონის გულსა შინათვისსა შიშითა ღმერთისა. ჭკითხა ღმილით ბერძან ადრატებულისა სიხარულითა ქალსა მას, ნუ თუ შენცა უწეი, თუ არს ღმერთი ცათა შინა და ქუჩისა და? ხოლო მან ნეტარძან უზახუხა; „დიად ვუწეი რომელ არს ღმერთი და ვადვიარებ მხოლოდ-შობილსა ძესა მისსა იესოს ქრისტესა, შობილსა მამისაგან, და სულსა წმინდასა მამისაგან გამოსრულსა, და დედასა ღმერთისასა ქალწულსა მარიამს, ეგრეთვე ვუწეი რომელ არს მართლათათუხ სასუფიველი, ხოლო, ვაჲ მე, ჩემებრ ცოდვილთათუხ სასჯული“. — ესმა რა ესე ბერსა ველარ უკუჩქ უძლო მოთმენასა, მოეხვიას ქედსა ზედა მის ასულისასა და იწყო ტირილი და მოთქმა: შეილო! შენა ხარ ზირმშო ასული ჩემი ტასია, მე ვარ მამა შენი სიდონი, რომელმან დაგიტყვე შენ ობლად და განკედ სოფლისაგან უდაბნოდ, რადსათუხ შესდგომილ-ხარ საქმესა ამას წარსაწყმედელსა? და უკეთუ იცა ღმერთი და ზირუთნელი მსაჯულება მისი, რადსათუხ წარწყმიდენ შენ ძენი კაცთანი შემოაბითა შენითა? და რაჲ უკუჩქ განქუხ ზასუხის გებად წინაშე საშინელისა მის განსჯისა, წარწყმედისათუხ ურიცხვითა ძეთა კაცთასა? და ესეცა იცა შეილო ჩემო საყურელო? რამეთუ ღმერთი მრავალთ მოწყალეა, სახიერი და ცოდვილთა შემწყნარებელი, და არს, შეილო ჩემო, სინანულიცა, რომელნიცა მხოლოდ წრთველითა სინიდილითა თუხითა მიიქცევიან ღმერთისადმი, შენანებისათუხ ცოდვითა თუხთა, განიკურნებიან ცოდვსაგან და მიიღებენ მოტყუებასა ცოდვითასა. ამით სიტყუათა ოდენ ქალი ესე მსწრაფლ დაკარდა ფერხთა ქუჩაშე მამისა თუხისა, და მწარითა ცრემლითა დააღტობდა მუხლთა მამისათა მეტყუელად. „ვისცოდე მამაო ცად მიმართ და წინაშე ძეთა კაცთასა, და არა ვარ ღირს აღნილვად უკუჩქ თუხლთა ჩემთა ცად მიმართ, გლოცავ მამაო! შემიწყალე მე წარწყმენილული ასული შე“

ნი, გამოძიებენ მე გზისგან ამის ბოროტისა და მიჩვენე მე გზა ჭეშმარიტი, და მატადე მე აქა ყოფად სამი დღე და შემდეგ წარმიძელ და მიმიყვანე ადგილსა სინანულისასა“.

მეორესა დღესა ნეტარმან მან ტასიამან წარიღო წაღცა მოეპოებინა მას სიძვითა თვისითა, რქრო გინა ვერცხლი და ძვირთვისნი საუნჯენი, თუალნი და მარგალიტნი და შინაგან ქალაქისა მის მოედანზედ დაჭყაწა და მოუვიდა ცეცხლი და დასწვა ყოველივე წინაშე ქალაქისა მის მცხოვრებთა, მეტყუელმან: „მოკუდით ყოველნი, რომელნი ჩემთანა ისიძვიდით და იხილეთ, რომელი იგი ბოროტად შემიკრებია, ვითარ დაიწკების თქვენ წინაშე ცეცხლითა, და რა დასწო მან ყოველი ბოროტებითა შეკრებილი ცეცხლითა, წამოჭყვა მამასა თვისსა, რომელმანცა შეიყვანა იგი მონასტრისა ქალწულთასა და იძია მისთვის სენაკი იწრო და ბნელი, და შეიყვანა რა იგი მას შინა, დაჭკრძალა გარკვან სენაკისა მის კარნი და დაბეჭდა ბეჭდითა თვისითა, და მხოლოდდა დაუტოვა მცირე სარკმელი (ფანჯარა), სადგანაც საზრდელი შეიღოს, და შეუთვალა დედასა მას მონასტრისასა, რათამცა მისცემდნენ მას მცირედ ჰურსსა და წყალსა. ჭკითხა ნეტარმან მან საჩკმელითგამო, ვშობულა ჩემო! ვითარ მეტყვი ვილოცდე მე ღმერთისა მიმართ?— უბრძანა მას ბერმან აღსიღმან ვშობლიუროთა მისდა შებრალბითა ცრემლით: შეილო ჩემო სასურველო! შენ არა ღირსხარ წარდგომად წინაშე ღმერთისა, არცა სახელისდებად მისსა ბავითა შენითა, არცა განპურობად კელთა შენთა წინაშე ღმერთისა, რამეთუ ბავენი შენნი შემწიკვლებულასრინ და არა წმიდა, და ხელნი შენნი შეგინებულასრინ უსჯულაობითა, არამედ დასდეგ მხოლოდ აღმოსავლეთით მიმხედი და კერა რას იტყვი მეტსა, გარნა ამას მხოლოდ: „რომელმან დაბადე შემიწყალე მე“.— და ესე რა უთხრა ნეტარსა მას, განემოწა მისგან მამა იგი მისი, აღსილი ერთის მხრით სინარულითა პოვნისათვის წარწყმედულისა შვილისა, რომელი დაადგინა ადგილსა სინანულისასა, ხოლო

მეორეს მხრით მწუხარებითა, რომლისა მშობლიურნი ნაწლები შეიწ-
კებოდნენ, ესე ოდენ მკაცრად დასჯისათჳს ზიზმოდისა ასულისა
თჳსისა.

ნეტარმა ქალმან დაჰყო რა სენაკსა მას შინა სამი წელი, შეეწ-
ყალა ბერსა მას მშობლიურითა სიუწარულთა, დაემხრო წინაჲე წინა-
მძღვირისა თჳსისა, მამა ანტონისადმი, და ცრემლით ეკედრა მას, რა-
თამცა ჭსტნას მისგან, უკეთუ შეუნდო მას ღმერთმან ანუ არა? რა-
მელსაცა ყოველივე ქმნილი ასულისა თჳსისასა ბოროტის მოქმედებაჲ
აღჳარა. —

წინამძღვარმან, მამა ანტონ შეისმინა კედრება ღირსისა სერა-
პიონისა და მოუწოდა მოწათუთა თჳსთა და ეკედრა მათ მის ნეტა-
რისა ქალისათჳს, რათამცა მას ღამესა კაცად კაცადი შეეყენნენ სენა-
კებსა თჳსსა და ილოცონ ღმერთისა მიმართ, რომელ მათგანსა ვისმეს
გამოეცხადოს ჩუწნებით და აუწყოს უკეთუ შეუნდო მას ღმერთმან
შეცოდებაჲ იგი მისი. დაჰყუწს ესრეთ მოწათუთა მისთა დაუწყა
ჰაკლე წრთელსა მოწათუისა ნეტარისა ანტონისასა, რამეთუ ჭხედვიდა
ზეტას ცხედარსა დაგებულსა სამოსლითა სპეტაკითა, შემკულსა თვა-
ლითა ჰატოისნითა, და ძვირფასნი გვირგვინნი იყუნენ დადგმულ მას
ზედს, და მისთჳს ვიეთნიმე ივითხვიდეს, ვისმე არს ცხედარი ესე,
ხოლო ჰაკლე ჭრქვა მათ: არა ვისი არს, თჳნიერ მამისა ჩემისა ან-
ტონისა, და ამას უამსა ოდენ ესმა ჰაკლეს ხმა, რომელი ეტყოდა
მას: არა მიმისა ანტონისა არს ცხედარი ესე, არამედ მის დედაკაცისა
არს ტასიასი, რომელი მამამან თჳსმან სერაპიონ შეაყენა სინანულად.
განიღვიძა რა მოწათუმან ჰაკლემ, შესწირა მადლობა ღმერთსა ყოველ-
თა მოწყალესა, და უამბო ყოველივე ჩვენებული მამასა ანტონს, რომ-
ლისათჳს ყოველთა თაყუანის-ჭსტეს უთჳლსა და მადლობდნენ ღმერთ-
სა კაცთ-მოუწარესა, რომელმან ღირს-ჰყო მონანული იგი ქალი ესე-
ვითარსა სინანულსა და შენდობასა ცოდვითასა. მამან უბრძანა ანტონ
მამასა მის მონანულისასა სერაპიონს გამოუწანება ქალის მის სენა-
კ-

საგან. მივიდა მამა სერაპიონ სინანულითა დიდითა და ახარა ასუ-
ლსა მას თვისსა კაცთამოყურებაჲ ღმრთისა და უბრძანა გამოსვლას
სენაკისა მისგან და მადლობისა შეწირვად ყოვლად-მოწყალისა ღმრთი-
სადმი,—ხოლო მას ნეტარსა კუთვალად არა უნდოდა გამოსვლასჲ მის
სენაკისაგან, რამეთუ არა ხადდა თავსა თვისსა ღირსად აღზიდულად ცად მი-
მართ; გარნა მამამან არწმუნა ნაყოფისათვის მის სინანულისა და გამოიყვანა
იგი მის იწროდსა სენაკისაგან, და მიუბრძანა ნეტარი იგი ტასისა
იმყოფებოდა მონასტერსა მას შინა და გარდასრულად სათნო ყო-
ღმერთსა და საბამკელ ყოველთა იქმნა სინანული მისი და სათნო-
ბითი ცხორებაჲ.

მ მ თ ხ რ ე ბ ა მ ე რ ტ ე

დასაბამიდან სოფლისა ხუთი ათას რუბლსა ას რუბლსა წელსა შინა,
ერთსა უდაბნოსა შინა მონაზონებდა ღირსი ბერი ვინმე სახელად
ახარამ, რომელი სიუწმითვე იყო შეყენებულ მონაზონად და მიხწყ-
ულ იყო საბერედ. ამას ჰყვანა ხორციელის ღვიძლის ძმისწული ასუ-
ლი სახელად მარიაჲ, რომელსა დახორცოდნენ მშობელნი და იგი
დაშთენილ იყო ობლად, არა მცირედითა საუნჯითა. ამან ნეტარმან
მოაყვანინა თვისთა უდაბნოდ ასული იგი შვიდისა წლისა და საუნჯე
დანაშთენი მის მშობელთა უბრძანა მიტყმად გლახაკთა და ობოლთა.
მცირეწლოვანი ესე ნეტარმან ბერმან დააყენა მცირესა სენაკსა შინა,
საშუალ ძმით სახლთასა და ასწავებდა მას საღმრთო წერილსა და გა-
ლობასა, რომელიცა ერთად ძმით მის მონასტრისათა, ათეუდა და-
მესა ღოცვითა და გალობითა და მარხვითა, რომელი წარმეტყვებოდა
გულსამოდგინებასა მონაზონებისა და ისწრათა აღსრულებასა ყო-
ველთა სათნოებათასა. ამასვედ უხაროდათ მონაზონთა ფრთად და

დაუგვირდებოდით სათნოებანი მისნი და მოღვაწეებანი, ვითარცა ჯერეთ
უმაწვილისაგან, ხოლო ნეტარი იგი ბერი ყოველთა ლოცუათა შინა
თვსთა ეკედრებოდა ღმერთსა მისთვის ცრემლითა, რათა გონება მის ყრ-
მისა იყოს ღმერთისათანა ჭე რათა არა შეაჩუიოს გონება მისი ქრისტეანიერმან
ზრუნვამ, გინა სიყუარულმან ქრისტეანისამან, და არა მოაკლოს იგი სათ-
ნოებასა ღმერთისასა, და ესრეთ ნეტარცა ყრმა იგი დღითი დღე
ეკედრებოდა მამის ძმასა თვსსა და ეტყოდა: მამაო! ვლოცავ სიწმიდესა
შენსა, მლოცვიდე უძლურებისათვის ჩემისა, რათა განუკრე მე ბო-
როტობაგან გულის-სიტყუათა და ყოვლისაგან მანქანებისა და მრავალ-
თაგან საფრთხეთა ეშმაკსათა, რათა უბიწოდ წარვდგებოდე მე წი-
ნაშე ღმერთისა, მეტყუელი: „შემიწყალე მე უფალა!“ ესრეთ გულს-
მოდგინელ იღვწიდა ნეტარი ასული იგი და წარმატებით აღსრულებ-
და ყოველსავე წესსა მონაზონებისა თვისისასა, და მით ახარებდა ფრიად
ბერსაცა მას, რომელი ჭხედვიდა კეთილსა მას გულსმოდგინებასა მის-
სა: ცრემლითა, სიმდაბლესა, მეუღროებასა, სიმშვიდესა და ღმერთისა
მიმართ სიყუარულსა. ოცს წლადმდე იყო ასული იგი მის ნეტარისა
მამის ძმისათანა, ვითარცა ტარიგი წმიდა ჭე ტრედი უბიწო, და ვი-
თარცა აღესრულნეს ოცისა წლისა ოდენ ყამნი მისნი, აღბორგნა მას
უბიწოსა ზედა ეშმაკი სიძვისა და მარად ყამს უმზირდა, რათამცა მო-
ინადიროს იგი და მით მისცა იგი ზრუნვასა და მწუხარებებსა.

იყო ვინმე მას წმიდასა უდაბნოსა შინა, რომელსა მხოლოდ
სახელი ოდენ ედვა გარეგან მონაზონებისა, ხოლო შინაგან სავსე იყო
ბოროტებითა და არა წმიდებითა გულის-თქმათათა, რომელი შხი-
რად მივიდის ნეტარისა ასულისათანა მიზეზითა სულიერისა სიყუარ-
ულითა და ესაუბრებოდის მას სარკმლით გაშო, (ფანჯრიდგან) და
მარადის ეძიებდის დროსა მარჯვესა, რათამცა საფრხე უკოს მას
უბიწოსა აღესიანისა და გესლიანის ენამტეკრელობითა. მან მაცთურ-
მან განაგრძო ტრფიალი მის ასულისათანა ერთ წლადმდე, და სძლო
ეშმაკმან მან უძლურსა ბუნებასა დედაკაცისასა და მოაუძლურა გონება

მისი, მსწრაფად აღუგონო ცეცხლი გულის-თქმასა მის ასულისასა, და დაავიწყა მას სათნოებად ღმერთისა და დაბრმაკებულმან გონებითა მის მაცოუნებელის მანქანებისათა, განაღო სარკმელი სენაკისა თვისისა და გამოვიდა მისგან და შეიგინა მწვრპითა მით უსჯულოებისათა. ხოლო შემდგომად საქმისა მის უსჯულოებისა, გამოეღვიძა ასულსა მას ოცნებისა და ძილისაგან, მოეგო გონებასავე თვისსა, იცემდა ზიზსა თვისსა, გაზღაიზო სამოსელი მამისა თვისისა, სტირლოდა იგი მწარედ ვიდრე სისხლისა ცრემლადმდე, და უნდოდა მწუხარებისაგან მოშორებ, თავისა და ეტყოდა თავსა თვისსა მოთქმით: მე ამიერიდგან მოკვდი, რამეთუ განკარისხე ღმერთი ჩემზედა, წარვწყმიდე დღენი ჩემნი და ნაყოფი შრომათა ჩემთანი, მარხვანი იგი ჩემნი და ცრემლნი წინაშე ღმერთისა აწად უკუწმე შეიარაცხნეს, ვამე, ვამე, თავი ჩემი მოკვალ და საკიცხელ ეშმაკსა ვიქმენ, ამიერიდგან რაღასაღა ცოცხალ ვარ მე უბადრუკი ესე, ვამე რა შემემთხვა ესე და ვივნე ეშმაკისაგანს ვითარ დაბნელდა გონება ჩემი და ღრუბელმან ბნელისამან დაჭყაწა გული ჩემი, რათა აწა ვსტნა რასა ვიქმოდე, ვამე რათ ვერ გულისხმა ვჭყვავ მანქანებანი მაცოუნებელისა ჩემისა და დაკაბნელე გონება ჩემი, აწ სადმე დაკუთარო ღმერთისა ყოვლადვე შებილწებულითა და უსჯულოებით მოცულითა თავითა ჩემითა, ვამე სად არიან მოძღურებანი წმიდისა მის მამის ძმისა ჩემისანი, რომლისა მოხუცებულებად განუსკენებელ ვჭყვავ და საკიცხელ, ანუ სად არიან საღმრთონი ქსწავლანი წმიდისა მამისა ჩემისა ეფრემისანი (*), რაჟამს იგი მასწავებდა მეტყუელი: „ეკრძალე თავსა შენსა და დაუძარხე სული შენი შეუგინებელად სიძესა მას უკვდავსა, რამეთუ სიძე იგი შენი წმიდა არს“. ვამე, ვამე, ღმერთი მოშურნე არს და მე ვერ შეუმძლავებულვარ აღნილვად თჳსათა ზეტად მიმართ, რამეთუ მოკვდი ღმერთისაგანცა და კაცთაგანცა, ვითარ ვიკადრო შესულად სენაკსა მას ჩემსა

(*) ეფრემ წინამძღვარი იყო უდაბნოასა.

წმიდასა და პასუხისმგებელ სარკმელით-გამო მას სენაკსა წმიდათა მათათა, ანუ ლოცუად და გალობად საღმრთოთა ხმითა ჩამეთუ ბაგენი ჩემნი შებილწებულ-აჩიან, და თუ ვიკადრო შესვლად მას შინა, ცუცხელი გამობდეს მისგან და შემწვას მე სავსე არა წმიდებითა, უმჯობეს არს ჩემდა წარსვლად სხუად სოფლად, გინა ქალაქად, სადა არა მიცნობდნენ მე და იქ მოკვდეთ, რომელსა არა უკუწმ მათეს სასოება ცხოვრებისა ჩემისა. აღსდგა იგი და წარვიდა სხუად ქალაქად, შეიგვალა სამოსელი თვისი და დასდგა იგი სახლსა არა წმიდათასა და ყოველთა შესავალსა.

ამას ღამესა, რაჟამს შეემთხვეოდა საფრთხე ქალსა მას, იხილა ნეტარმან მან ბერმან ჩუწნებსა შინა საშინელი ვეშაპი და დიდი, რომელი ისტკენდა ძლიერად და სძაგელი სახილველი, გამომავალი ადგილით თვისით და მომავალი სახლად ნეტარისა მის, რომელმან ჰპოვა ტრედი სპეტაუი და შთანთქა იგი და მიიქცა ადგილსავე თვისსა. განიღვიძა რა ბერმან, შესწუხდა ფრთად სულთა და სტიროდა მწარედ მეტყველი გულსა შინა თვისსა: „ანუ თუ დევნა რამე აღადგინოს ეშმაკმან ეკკლესიათა ზედა და განვიდნენ მრავალნი საწმუნებობისაგან, ანუ კაცნი რომლისაჲ დაბისანი მიიქცენ კეჩბთ-მსახურებად, ილოცვიდა ნეტარი იგი ღმრთისა მიმართ და იტყოდა: წინასწარ-მცნობელი და კაცთ-მოყუარელი ღმერთო! შენ მხალღმან იცი რა არს ჩუწნება ესე, მაჟწყე მე“. მეჩმე მეორისა ღამისა ოდენ ჩუწნებსა შინა კუდად იხილა იგივე ვეშაპი, ადგილით თვისით მომავალი სახლად მის ნეტარისა, რომელმან დასდგა თავი თვისი ფერხთა ქუწმე ნეტარისა მის და განსქდა, რომლისაგან გამოვიდა ტარივი იგი ცოცხალი ყოვლადვე უვნებელად. — განიღვიძა რა ნეტარმან მან უწოდდა ქალსა მას ერთ-გზის და ორ-გზის, და სთქვა: შვილო ჩემო! რამსათვის ესე ორი ღამეა, არა მესმის შენგან ხმა ტკბილად გალობისა შენისა და დიდებაჲ ღმრთისა? — და რა აღარ მიუგო მსგავსად ჩუწნეულებისა არავინ, მაშინ გულისხმაველ ნეტარმან, სულთ-ითქმიდა

და სტირლდა მწარედ მეტყველი: ვაჟი, ტარიგი იგი ჩემი მეგობარს
მიმიტაცა და შვილი ჩემი წარმეტყულებს, აღიმაღლა ხმა თვისი და
ჭსთქვა: „მაცხოვარო სოფლისა! მოაქციე ტარიგი შენი საცხოვრე-
ბელად თვისსავე სადგურსა, რათა არა შთავიდეს სიბერე ჩემი მწუხა-
რებით ჯოჯოხეთად, ნუ უგულებელს ჭყოფ ვედლებსა ჩემსა ქრისტე,
არამედ მოაუღინე მსწრაფად მადლი შენი და დაიციე იგი პირისა მის-
გან ეშაპისა“.

განმავალბასა შინა ორის წლისასა, ნეტარი იგი ბერი მწუხა-
რებდა სულთა და ისწრაფდა ცნობისათვის დაკარგულისა მის ტარი-
გისა, ხოლო შემდგომად ორისა წლისა, ეცნობა მას ერთისა მცნო-
ბისაგან, სადა და ვითარ ცხოვრებდა ძმისწული ქალი იგი მისი,
მსმენელმან ამის ამბავისა ბერმან, აღვსილმან სინაწულთა წარაუღინა
კრწანლად მეგობარი იგი თვისი ჭეშმარიტებით გამოკითხვისათვის ადგი-
ლისა მის, და რა მეცნიერ იქმნა მოციქული იგი და თუთ ქალიცა
იგი იხილა ნამდვილად, მაშინ მოვიდა და უთხრა ბერსა მას ყოველივე
თუთრულად და ასწავა ადგილიცა იგი, ხოლო ნეტარსა მას ჭრწმენა
და ჭსთქვა ჭეშმარიტად იგი არს, ჭსთხოვა მეცნიერსა მას, რათამცა
ვიანთვას მას სამოსელი საერისკაცო და ცხენი და დრატკანი ერთი,
რამელმანცა შიანთვას მას ყოველივე და მით წარემართა ქალაქსა
მას, ხატითა მით საერისკაცოდასათა, რათამცა ჭსძლეს მტერსა მას
ძმისწულისასა. აჭა განგება ღმერთისა! რამელ პირველი აბრამ განვი-
და შეუეთა ბრძოლად და მოსრნა იგინი და მოაქცია ღმერთ ძმისწული-
თვისი ტყვეობისაგან, ხოლო მეორე ესე აბრამ დახშული, პირველად
უკრწნა გამოვიდა სენაგისაგან თვისისა ქრწყანასა ზედა, ბრძოლად თუთ
მის ეშმავისა, რამელმანცა მისტაცა ძმისწული თვისი, და ჭსძლეს მას,
და მოაქცია იგი თვისსავე სადგურად.—და რა მოვიდა ადგილსა მას
ყოველთა შესავალსა, სადაცა იყო ძმისწული მისი, მაშინ შესრულმან
სახლსა მას შინა, ჭკითხა მოღვაწესა სახლისსა; მეგობარო! მესმა,
რამელ, თქვენ გუჯსთ აქა მშუწნიერი ქალი ვინმე და მე მოკედ მის-

თჳს, ხოლო მან რა იხილა სიმხტოვანებაჲ მის ბერისა, განკიცხა გულ-
სა შინა თჳსსა და უპასუხა, რომელ, არს აქა ქალი, რომელსა სახე-
ლად ეწოდების მარიაჲ, უკეთუ მას ეძიებ. მაშინ მხიარულითა პირი-
თა ჳსთქვა ნეტარმან, მოუწოდე მას აქა და დღეს ვინაწოთ მისთანა;
გამოვიდა ქალიცა იგი და რა იხილა ბერმან იგი შემკულებასა შინა
და ხატსა მას შეძაკთასა, აღივსო პირი მისი ცრემლითა და ითმენდა
ფრად, რათამცა არა ჳსტნას ქალმან და ივლტოდეს მისგან, დასხდნენ
რა იგინი სერად, იწყო სიმღერად მისთანა განსაკვირვებელმან კაცმან
უცხოეთა ხმითა. მარიაჲ მსმენელი ამა კეთილის ხმისა, აღსდგა
და მოეხვა ქედსა მისსა, მუის ეცა მას სუნნელებაჲ მონაზონებისა მისისა
და მსწრაფელ მოესუნნეს დღენი თჳსნი მარხვისა და მონაზონებისანი,
სულთ-ითქვნა და ცრემლნი გარდამოსთხივნა, რქვა: კადმე ცოდვილსა!
ხოლო მოღვაწემან განკვირვებით ჳკადრა მას: რად არს დედოფალჲ ჩემო
მარიაჲ? — დღეს გაქჳს ჩემთანა რჩი წელი და არა სადა შესმნეს სულთ-
თქმანი და არცა ესე ვითარნი სიტუჳაჲ შეგან. ხოლო მან ჳრქვა მას,
უკეთუმცა მომკჳდარ ვიყავი სამისა წლისა ოდენ წინად, ნეტარმცა
ვიყავ მუ, მაშინ ბერმან ღიმილით უთხრა ქალსა მას, ნუ თუ შენ,
ამა ჩემსა მოსკლადი, მოგესუნნეს ცოდუნანი შენნი გამოიღო დრან-
კანი და მისცა მოღჳწესა მას: მოგვიმზადე ჩჳწნ სერი კეთილი,
რათა ვინაწოთ ჩჳწნ დღეს ქალისა ამისთანა, რამეთუ შოროთ მაგის-
თჳს მოესულ-ვარ. — აჳ! სიბრძნე ბრძენთა და გულის-ხმის-ყოფა მეტ-
ნიერთა, რამეთუ ესე ვითარმან საკვირველმან კაცმან-ღჳთისამან, რომ-
ელმან ცხოვრებასა შინა თჳსსა პურისა გემო არა იცოდა, მაშინ
შეუორგულებელად სჳამდა ხორცსა და სმიდა ღვინოსა, ვითარმედ წმი-
დათა ანგელოსთაცა განუკვირდებოდათ ცათა შინა ესრეთი გულსმოდ-
გინებაჲ მისი. იმღერდა ღზინითა, რათამცა უცხო იქმნას ქალისა
მისგან და კერ იცნოს იგი, რომლითა გამოიხსნას იგი წარწყმედისა-
გან, და პირისგან კეშაპისა გამოუღოს სული მისი შთანთქმული.
ხოლო შემდგომად ჳამისა და განცხრომისა მათისა, უთხრა ქალმან,

უფალო! აღსდგე და შევიდეთ განსასვენებლად და დავიძინოთ. ვითარ
შევიდნენ იგინი და ნეტარმან ბერმან იხილა ცხედარი დაგებული ხდ-
ვიდა და დასჯდა მას ზედა გულის მოდგინედ, რომელსა არა უხილავს
საკები ცხოვრებასა შინა თვისსა, და მარადის წევს იგი თრიატსაზედა,
აქა დასჯდა ცხედარსა ზედა, რათამცა გამოიხსნას მწოლარე ცხედრი-
საგან არაწმიდებისა და მწკრისაგან უსჯულთებისა გამოიტაცოს დანთქ-
მული სული მისი. — შესრულმან ბერმან უბრძანა დაკრძალვა კარისა,
ხოლო ქალმან რა დაკრძალა კარნი, მივიდა მისსა და ჰსთხოვა გახ-
დად თერხთა და ტანთა, გაჩნა მან არა ინება და ჰქქეს: დედოფალო
ჩემო მარია! მომეახლე მე აქა, და რა მიეახლა მას იგი, მაშინ უბ-
ურა ხელი მისი მაგრად, რათა არა ივლტოდეს მისგან იგი, აღიხდა
ქუდი თავისაგან თვისისა, აღსტირდა და ჰქქეს მას: შეილო ჩემო მა-
რია! — ვერ მიტანა? — მე ვარ მამის ძმა შენი აბრამ, მე ვარ რა-
მელმან გაგზარდე შენ, რად ჰქმენ ესე შეილო ჩემო! ვინ მოგკლას
შენ, სადა არს ხატი შენი ანგულოსებრივი, რომელი გემოსა შენ,
სად არიან, შეილო ჩემო, მარხვანი იგი შენნი და ტირილნი, სად
არიან მღვიძარებანი შენნი და მიწასა ზედა წოდანი, ვინ სიმაღლისა-
გან ცათასა ჯურღმულისა ამის გადმოგაკდო, რადსათვის არა მითხარ
შეილო ჩემო, ოდეს იგი ჰსტოდე და მე ვევედრე ღმერთსა შენ წილ,
საუჭარკელისა ჩუწნისა მამისა ეფრემისათანა, რადსათვის ესე ჰქმენ და
მწუხარებასა დიდსა შემავდე მე, ვინ არს უცოდველი, შეილო ჩემო,
თვნიერ ღმერთისა მხოლო, არას მომიგება? — შეილო ჩემო მარია!
ჩემზედა იყავნ ცოდვა ეგე შენი, მე სიტყვა მივსტე ღმერთსა დღესა
მას სასჯელისასა, მე ვინანდე ცოდვისა მაგის შენისათვის, და ესრე-
თით ტირილითა შუალამედდე ლოცვიდა მას ღირსი იგი ბერი და
ასწავებდა გზასა ჭეშმარიტსა სინანულისასა და საუკუნოდას ცხოვ-
რებისათვის. მიილო რა მტირედი ვადნიერებად მარიამან, დაგარდა
თერხთათანა მის ბერისათანა, აღმოუშო ტირილითა და სულ-თქმით
ხმა თვისი და ეტყოდა ნეტარსა მას: მამაო! უკეთუ შენდა მიმარტ

მიხედვად ვერ ძალ მიძს, სიწმინდითა ჰიროსა ჩემსათა, ვითარ
კელმწიფების ღმრთავად ღმრთისა მიმართ შეგინებულისა აწმინ-
დებითისა ამის მწერისათა, ვითარ ვიკადრო გამოსახვად ჰირჯურისა
უსჯულთა შეგინებულთა ხელთა ჩემთა და ხსენებად სახელი
უფლისა შემწიკვლებულთა: ბაგითა ჩემითა“? ჭრქუა მას ნეტარმან
ახარამ: ჩემზედა იყავნ ცოდვა ეგე შენა შეილო! ხელთაგან ჩემთა
იძიენ ღმერთმან ცოდვანი შენნი ყოველნი, გარნა შენ ისმინე ჩემი
და მოკედ ზ წარვიდეთ ადგილსა ჩუწნსა, რამეთუ აჰა ეგერა
მამაცა ჩუწნი ეგრემ ჭსტირს და ეკედრების შენთჳს ღმერთსა, შეიწ-
ყალე შეილო სიბერე ესე ჩემი, გლოცავ შეილო ჩემო, ნუ შეაწუ-
ხებ მხტოვანებასა ჩემსა, აღსდგე და წარვიდეთ“. მაშინ აღიმალა ტი-
რლით ხმა მარიაშმან ნეტარისა ბერისა მიმართ მეტყველმან: მამაო!
უკეთუ უწეი, რომელ შემძლებელჳარ მე სინანულად და თუ შეიწყნა-
რის ღმერთმან სინანული ჩემი, აჰა! ესერა მოკალ, შეუკრდები და
გლოცავ სიწმიდესა შენსა ამბოჯს-უყოფ ფერხთა შენთა, რამეთუ
ესრეთ წყალობა ჭყავ ჩემთჳს და მოხკედ აჰა, რათა გამომიყვანო მე
მწერისაგან ამა აწმინდებისა, დასდვა თავი თჳსი ფერხთა მასთანა,
ჭსტირდა ღამე ყოველ და იტყოდა: რამე მოგაგო მე შენ ამის
ყოველისათჳს? და ვითარ უკუწ განცისკრა, ჭრქვა ნეტარმან ქალსა,
შეილო ჩემო! აღსდგე და წარვიდეთ ადგილსა ჩუწნსა, ხოლო მა-
რიაშ მიუგო, მაქუს აჰა რქრო და სამოსელი, რასა ბრძანებ მისთჳს? —
ჭრქვა ნეტარმან, დაუტევე აჰა, შეილო, ყოველივე, რამეთუ ყოველი
იგი ხაწილი არს უკეთურებისა, აღსდგენ და განვიდნენ, აღსვა ქალი
იგი ნეტარმან მან ცხენსა ზედა და წინაუძლოდა მას და ვიდოდნენ
სიხარულითა, ვითარცა მწყემსმან ჭზოგოს ცხოვარი წარწყმედული და
აღიქვის იგი მხარსა ზედა თჳსსა, ეგრეთცა ნეტარი იგი სიხარულითა
გულისათა მოვიდოდა, და ვითარცა მოვიდეს იგინი ადგილსა თჳსსა,
ერთბაშად განუხარდებოდათ ძმათა მის უდაბნოისათა და მხიარულს
იყო სულითა წინამძღუარცა მათი ეგრემ, ჰოვინისათჳს წარწყმედუ-

ღისა მის ტარისა და ყოველთა შესწირეს მადლობა ღმერთსა ყოველსა შემძლებელსა. მაშინ მისრულმან ბერმან შეიყვანა ქალი იგი შინაგანსა მას სენაკსა, და იმა ყამიდგან მონანული ქალი იგი, იმყოფებოდა ძაძითა და ნაცრითა, მღვიძარებითა და ტირილითა, სიმდაბლითა და მარხვითა, გულს-მოდგინებითა და სიმშვიდითა, ილოცვიდა ღმერთისა მიმართ და ჭეშმარიტებით ინანდა ცოდვითა თვსთა. ვინ იქმნებოდა უწყალო და შეუბრალეელი, რომედსა ესმოდა ხმა ტირილისა მისისა და აწა ცრემლოდის, და ვინ იქმნებოდა ეგოდენ გულ-გრილი და გულ-ფიცხელი, რომელსა ესმოდას გოდებისა მისისა და აწა ადიდებდა ღმერთსა სინანულისათვის მისისა, რომელი ურცხვინლად უკუჭ მისთქმიდა თვსთა ცოდვითათვის, რათა იხილოს სასწაული, უკეთუ სინანული მისი შეიწყნარა ღმერთმან და მიუტყვას მას ცოდვანი? ხოლო რაჟამს იხილა კაცთ-მოუწარემან ღმერთმან სინანული იგი მისი, განკურნა იგი ცოდვისაგან, რომელი მიერიდგან ლოცვითა თვსითა ჭკურნებდა სნეულთა და იქმოდა სასწაულებითა. — ხოლო ღირსი მამა აბრამ ჭხედვიდა რა კეთილსა მისსა სინანულსა და უქცეველსა მას მისსა გულს-მოდგინებასა, ადიდებდა და აკურთხევდა ღმერთსა ყოველად მოწყალესა, რომელმან აწა უგულებელს-ჭყო კედრება მისი და გამოიხსნა ტარიგი იგი მისი მარამ, დანთქმისაგან კეშაშისა და ესრეთ სინარულითა დიდითა მშვიდობით უფლისა მიმართ მაიძინა, ღირსმან მან აბრამ დახშულმან, სამოცდა ათის წლისამან, რომლისა ხსენებასა ჭყოფს წმიდა მართლ-მადიდებელთ ეკლესიას 29 ოკტომბრისას, რომლისა აღსრულებისა ყამსა შეჭკრბა ერთბამად ქალაქი და კაცად-კაცადი ცდილობდნენ სასოებით მიანლობასა წმიდათა ხორცთა მისთა, განკურნებისათვის სნეულებათა თვსთა და მიიღებდნენ ნაწილსა სამოსლისაგან მისისა, და მით რადუნთა სნეულთა შეახებდეს განიკურნებოდის. ხოლო ნეტარმან მარიაშმანცა, იცოცხლა შემდგომად აბრამისა ხუთ-წელდა, და მანცა განისკვნა უფ-

ჯისა მიმართ მიჰვიდობით, და ყოველთა, რამეადაცა იხილეს პატი
ვისი განბრწყინებული, მისცეს დიდება ღმერთსა.

მოკუმადღენ ჩუქნცა უფალმან ღმერთმან ჩუქნმან მათუბრ
შენდობა ცოდვათა ჩუქნთა, და ნაყოფნი სინანულისანი, რათა ყო-
ველნი ერთბამად კადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,
აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დრავუნის პოეტის მიწვეული ირადიონ ე ლ ი თ ნ ი ძ ე.

ქ ა ლ ა კ ე ბ ა

ზირკულად მრკველში მისკლასედ, ახალ მონათლულ ინგილოებისადმი
ნათქვამი.

გამხენ ღმერთს ყოველი ფერი ქვეყანაზედ ისე გაურბობია, რომ თითქმის არა საგანს და არსებას არ შეუძლიან მოუუკლათ, თვალყურის მიუგდებლათ არსებობდეს, იზრდებოდეს და იყოს უზატრონო. ყველას მოკლა უნდა, ყველას თავისი პატრონი ჰყავს და ყველა პატრონს ექებს. ერთი მიხედეთ ფრინველებსაო ბრძანებს ქრისტე ღმერთი სახარებაში: „არა სთესვენ, არცა შეიკრებენ საუნჯესა, და მამა თქვენი ზეცისა ზრდის მათ“. მეორე ალაგს სახარებისას კიდე სწეობა: „ღმერთი შეამკობს მინდვრის ბაღებს მშვენიერის ყვავილებითა“. სჩანს, ძმანო და მეგობარნო, რომ ყოველი საგანი და არსება უზატრონო არ ყოფილა და განგებისგან დამყარებულ შეუცვლელ კანონს მისდევს. უამისოთ ქვეყანაზედ რიგიანობა არ არის, არა არსება რიგიანათ არ იზრდება — მახინჯდება. აი მაგალითებრ: ეხლა რომ თქვენ თქვენ საქონელს არ მოუაროთ, მაშინ უეჭველია, რომ ერთს — მტერი — ქურდი მოიპარავს, მეორეს მკვლეი — ნადირი მოიტაცებს, მესამე გზას ასცდება და ისე დაიკარგება, და ამ გზაწათ აღსრულდება ის ქართული ანდაზა: რომ უზატრონო ხაზინას ეშმაკი დაუზატრონდებაო“. გაკდა ამისა: თქვენს ვაზები რომ არ გასხლათ, სარები არ შეუდგათ, როგორ გონებთ, ვინახს რა დაემართება? — ვაზები გაუსხლელობისა გამო მეტად შეიბურვიან, და მაშინ იმათ ის ძალა აღარ ექმნებათ, როგორც მათ ქონდათ მაშინ, როდესაც იმათზედ რჩი თუ სამი რქის მეტი არ

ება. რათა? ამისათვის რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის დაინაგრება, დაიკოდვის და უკანასკნელ უნაყოფოდ გახდება. ეს, რასაკვირველია, თქვენ გრწამს, ამისათვის რომ თქვენ თვითონ იცით საკუთარის გამტადილებით; ამასთანავე ჭხედავთ ცხოვრებაში, რომ თვითონ თქვენნი შვილებიც დედ-მამის მიუხედავად, მოუკლელათ რიგინათ არ იზრდებიან.

როგორათაც ყოველი არსება ქრისტეანაზედ მართხრეს ზრუნვას და პატრონობას, აგრეთვე კაციცა. მართალია კაცი თავის უთვლი არსება არის, მაგრამ არც იმასა ჭსურს უპატრონოთ იყოს. ისიც ეძიებს პატრონს და მოკლას. უთუოთ იმასაც უნდა ჭყვანდეს პატრონი და მომკლელი, ჭკუაზედ და კეთილს გზაზედ დამყენებელი და დამრიგებელი. თქვენ დალოცვილებო! ყველანი ერთი ჭკუისანი ხომ არ იქმნებიან. რამდენიც ქრისტეანაზედ კაცია, იმდენიც ჭკუაა: მთა და ბაჩი ვის გაუსწორებია; მჯობს — მჯობნი არ დაეკლავო, ნათქვამია. მაგრამ ჩვენ და საუბედუროთ ჩვენ ინგილოები აქამდე უპატრონოთ ვიყავით: დამრიგებელი და კეთილს გზაზედ დამყენებელი არავინა გყვანდა. აი მას აქეთ, რაც ჩვენ საქართველოს ეს ჩვენი საყურადღებო ქრისტეანა ალექსანდრეს, კახეთის მეფეს, წაართვა სპარსეთის მეფემ, შახ-აბბასმა, მას აქეთ, ჩვენი ქრისტეანის რუსების ხელში ჩავარდნამდე, ყველანი ჩვენ გვცემდნენ და გვიხატავდნენ — ვინ იყო პატრონი და დამშლელი? ამისა გამო ბევრი შავი დღე გამოიარა ჩვენმა მამა-პაპმა. ჩვენ სწორეთ ისე დაგვემართა, როგორათაც ბრძანა იესო ქრისტემ: „მოკლავ წყემსი და განიბნივნენ ცხოვარნი“. ეს ჭწორეთ ჩვენ ინგილოებს დაგვემართა! ბევრია ეხლა ჩვენ ინგილოთაგანი ამ ჭარის ქრისტეანაში გადასახლებული სხვა და სხვა სოფლებში, სადაც განსაკუთრებით მახმადიანები ჭცხოვრებენ და იქ დაუვიწყებიათ მამა-პაპის ენაც და ქრისტეანობა რიგი საწმუნოებაცა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, სულ უპატრონობაა. უეჭველია, რომ ამათ პატრონი ჭყოლადათ, მახმადიანების მთლობელთაგან დროს, ასე არ დაემართებოდათ. როგორათაც მწყემსი უკლის,

იტავს მკლას და ყოველ შტატებელთაგან თავის ცხვარსა და სხუა
საქონელსა, აგრეთვე კიდე მეფე და მღწეული უკლის და ჭიჭიანს
მტრისაგან თავის მჩუკლსა. ინგილოები რომ ამბობენ ანდაზასა:
„მეფე და მღწეულიო,“ აი ამასვედ არის ნათქვამი. ვინღა არიან იმათ
მჩუკლის მტრნიო? მკითხავთ თქუძნ. მტრნი არიან: სხუა ქუძუნის
მეფენი და საწმუნოების მეთავენი, — წარმოდგენილნი — მოლლები, —
რომელნიც ყოველთჳს იმასა ცდილობენ, რომ ქრისტიანებს თავისი
საწმუნოება მიაღებინონ; არა სურთ, რომ იმათ საწმუნოების მეტი
კიდევ ქუძუნასვედ საწმუნოება იყოს. როდესაც კი ჩაიგდებენ ხელში
რომელსამე ხალხსა, მაშინ ძალადობით მიაღებინებენ ხელმე იმას
თავის საწმუნოებას. ასე მოქცნენ, მაგალითობრ, ჩუძნს მამა-პაპას.
იმათ არადეს არა სურდათ მიეღოთ მახმადის საწმუნოება, მაგრამ
ძალას ატანდნენ იმის მიღებასვედ. ვინც უარს იტყოდა, იმას უთუოთ
სიკუდილი მოელოდა. მახმადიანები ხმლით და ცუცხლით ავრცელებ-
დნენ თავის მახმადის საწმუნოებას. იმათი გული არ ითმენდა და
არ ითმენს თავის მახლობლივ ქრისტიანობრივი საწმუნოებაც იყოს.
ამისაგამო ჩუძნი მამა-პაპა მახმადიანებისაგან ძლიერ შეწუხებულნი იყუ-
ნენ. იმ საშინულ-საზარელ და საზიზღარ საქმეებისა, რასაკვირველია,
ბევრნი თქუძნთაგანნიც მოწამენი არიან. რას არ უშეკებოდნენ ისინი
ჩუძნს საწყალ მამა-პაპას. სწორეთ რომ ტყავს აძრობდნენ და ატყავებ-
დნენ საწყალებსა. ართმევდნენ იმ უბედურთ რაც რამა ჭქონდათ ღებ-
დათ სახლ-კარში. ერთის სიტყვით უკვლავურში დამონებული ჭყლ-
ლიათ, დაუხრციათ ის ბედურული ჭოგორც ქათმები. ამის დამტკი-
ცება, რასაკვირველია, ძნელი არ არის; ამისათჳს რომ მრავალგან მი-
ვარდნილ და მიუწუებულ მინდვრებში და მთა-ღრები კხედავთ ეკლე-
სიებსა და ნასოფლარ ადგილებსა, რომელნიც ცხადათ ამტკიცებენ,
რომ აქ ერთხელ ქრისტიანობა ყოფილას აღუკავებული და დიდი ძალი
ქართული ხალხი მდგარა. მართლსა და ვინ აღაშენა ამ მთა-ღრებში
ეს ამოდენა ეკლესიები და ციხეები, თუ არა ქართულმა, ჩუძნმა მამა-

ჰაჰაჰა? ვინ არის ამ დაობლებულ ციხეების, ეკლესიებისა და სოფლებისა ჰატრონი, თუ არა ქართველი? ვინ გააკლავს ის იმოდენა ციხე და კოშკები იმ გულგულის ზევით მთებში ჯარის გასწვრივ, თუ არა ჩუქნმა მამა-ჰაჰაჰა, ჩუქნმა ყოვლად სანატრელმა თამარ მეფემ? დიაღ! ეს დაობლებული ციხეები, კოშკები, ეკლესიები და სოფლები სულ ჩუქნია. ისინი ეხლან დაობლებულან, დანგრეულან, ბევრი წმინდა სისხლი ქართველებისა იმათ კედლებს მოსხმია ზე შეუშვრია, ზე ქვეშ მოუტანებისა იმათ მონგრეულს ღოდს წმინდა სხეული ქართულისა. ბევრ ქართველს საცოდავად დაჭრილ დაკოდილს აქ ამოსვლია სული ზე იქვე უზონია თავის-თვს ხვედრი საფლავი. და რაღა მარტო ციხეებში, კოშკებში და ეკლესიებში—თითქმის ყოველგან არის და იზრუნით ქართველ გაცის საფლავს, და ეს დაღარიბებულნი, ეკლესიები, ციხეები, კოშკები და საფლავები ცას შესტირიან და ჩუქნ გვემდურნიან, გვაუკედრიან და ზეცას შეჭრივიან, რამ ჩუქნ იმათმა შეილებმა იმათი ამაგი და მაგალითი ვერ დაკისსონეთ. საფლავიღვან გვემდურნიან, რამ იმათ თავები დაიხრცეს შეილებისათვის, რამ რა არის შეილებს მაინც არის ეშუელთ რამეო, ჩუქნ მაგალითს მისდიონო, მაგრამ ჩუქნ ისე გულგრილად თუუჭებთ ამ მამა-ჰაჰაჰის ღაღადს, რამ თითქმის არცკო გესურს იმათ ვაჟვაცურს საფლავს შეკხედოთ, ცხონება და მადლობა მაინც არის გაუგზავნოთ, რამ მათ ჩუქნ სიცოცხლე მოგვანიჭეს.—

იმათ არა ვგვეკვართ სარწმუნოების სიმტკიცეში, უშიშრობაში და ვაჟვაცობაში. იმათ იმ გვარ საშინელ საშიშარ დროებაში არ ეშინოდათ ქრისტიანობრივის სარწმუნოებისა ღვიარება, ჩუქნ კი ეხლანც გვეშინიან, რადესაც შაშიანობა სრულებით აღარ არის, ჩემო ძმანო და მეგობარნო! წავიდა დროება ვაებისა და მწუხარებისა. ეხლან დედა აღარ გოდებს ლეკისაგან მოკლულ შვილის სიკვდილზედ. მან მოუკლათ თავის ქვითინს თავის საყვარელ შვილის სიკვდილზედ, რადგან ლეკი ეხლან შიგ კალთაში მას შვილს კვლარ უკლავს; და ეს იმას ამტკიცებს, რამ საშიშარნი და საზარელნი დრონი საუკუნოდ დაიდურნენ.

ის დროება ეხლა აღარ დაბრუნდება. მაშასადამე ჩუქნი ჩიდასილა გვე-
შინიან, რომ ისევე ჩუქნი მამა-პაპის საწმუნოება მივიღოთ. ეხლა ნუ-
ღარ გვეშინიან მახმადიანებისა. აქამდე გვეპატიებოდა, რომ პირათ
მუსურმანები ვიყავით და გულთ გი ისევე ქრისტიანები, ეხლა გი არა.
ნუღარ ვმაჯავთ ჩუქნს ვინაობას და ქრისტიანობასა მახმადიანებთან.
გაკახაროთ ჩუქნი დახრცალნი მამა-პაპის სათუჯავში და გამოკაცხადოთ
ჩუქნი ქარტუელობა და ქრისტიანობა, რომ შეიტყოს ქვეყანამ, რომ
ჩუქნი ინგილოებმა სამაგალითო საქმე მოკახდინეთ. სამასი წელიწადი
მახმადიანების ხელში ვიყავით, და ჩუქნი საწმუნოება, ხალხობა და
ენა არ დაკვარებოთ. ეს მე კარგათ ვიტყვი, რომ ინგილო კაცისაგან არა-
ოდეს მუსურმანი არ იქმნება, ნუ გვრცხვენიან რომ ჩუქნი ქრისტიანები
ვართ. აქ არათუარია სასიხრცხვილო. დასატიინნი ჩუქნი მაშინ ვიქმნე-
ბოდით, თუ რომ ჩუქნი საწმუნოება მახმედის საწმუნოებაზედ
ცუდი ყოფილ იყო. ჩუქნი საწმუნოება მახმედის საწმუნოებას ისე
ჭკობია, რომ არაოდეს იმათი შედარება არ შეიძლება. ჩუქნი მახმა-
დიანებს უნდა რცხვენოდეთ, და არა ჩუქნი იმათაგან. თუ არა და ეხ-
ლანდელი თქუქნი ყოფაქცევა ძლიერ დასაძრახისია. ინგილოებს გრც-
ხენიანთ თათრებისა, მახმადიანებისა, და ამისათვის ქრისტიანობაზედ
თავს არა სდებთ. არა? ეს სასაცილო საქმე არ არის? ვინმე შეცნიერ-
მა შეიტყოს ეს თქუქნი საქმე, უთუოთ წასქდება სიცილი და იტ-
ყვის თქვენზედა: „გაი რა უჭკო და საბრალო ხალხი ყოფილათ; მა-
მა-პაპით ქრისტიანები და ქარტუელები ყოფილანო, ეხლაცა სურთ
თავის მამა-პაპის საწმუნოება, მაგრამ ისეთი უჭკო და უთავბოლო
ხალხია, რომ მახმადიანებისაგან ეშინიან და რცხვენიანო, და ამისაგა-
მო ვერ ქრისტიანობსო“. — გაცს ავაზაკობისა და ცუდი ბოროტი
საქმისა უნდა რცხვენოდეს, სიბილწეს და უსინიდიობას უნდა ერი-
დებოდეს, და არა კეთილსა. ქართულათ ერთი ანდაზა არის ნათქვა-
მი: „ნუ იქ ავსა და სურც ავისა გვეშინიანო“. შევაფუროთნოთ ეშ-
მავსა და გამოუცხადოთ ჩუქნი მთავრობას, რომ ჩუქნი ყველანი მამა-

ჰაზინთაც ქრისტიანები კუთვნილან და კიდევაც კართ. გაკრთდეთ უკუღანი ინგილოები და მაშინ გვექმნება ქრისტიანად ხმა, და აღარ ვიქმნებით თითით საჩვენებელი. ესაა რომ ინგილოზედ ერთ ღა- ჰარკს დაიწყებენ, იტყვიან ხოლმე: ეჭ, ვინ არის ინგილო, განა ებე- ნიც კაცნი არიან, თავის მამაჰაჰის კარგს საწმუნოებას თავი და- ანებეს, და მახმადიანების ცუდი საწმუნოება მიიღეს. რასაკვირ- ველია, უკუღა კაცს საწმუნოება უნდა ჰქონდეს, მაგრამ რამეღიც კარგია, კაცს და კაცობრიობას ეწევა განათლებაში, ის—და არა სხუა რამეღიმე. ვისაც საწმუნოება არა აქვს, ის უღმერთაა, უღმერთა კაცი კიდევ შეუწყალებელია. ჩუწნთვს ძლიერ დიდი სიბრძნეღია ამ გუარათ ყოფნა. საღმთო წერილში სწერია: რომ ხარც ვი იცნობს თავის ჰატრინის ბოსელსა, და კაცმა რგორ არ უნდა იცოდეს. ჰგობს ვიცნათ ჩუწნი საწმუნოება; მოკინათლნეთ უკუღანი და კიუ- ვნეთ მტკიცეთ ჩუწნს საწმუნოებაზედ. მარტო ამით შეგვიძლიან მახმადიანების ჰაკრი ამოვიყაროთ და მტრობა უყოთ. რა რიგათ? ისე რომ იმათ აქამდე გავწავლეს, დატანჯეს ჩუწნი მამაჰაჰა და ესაა იმას ცდილობენ, რომ უკუღანი მახმადიანები გაკვდეთ, მეტე იმ დროს, რა- დესაც უკუღან ქრისტიანობა მრავლდება. ამ შემთხვევაში, რასაკვირ- ველია, რომ ჩუწნი იმათ წინაღიმდეგ უნდა მოკეცეთ, მოკინათლნეთ და ამითი მოკვლათ ეშმაკი და მისი რგვანონი. ეს იმათ ძლიერ ეწყინებათ. ეს იმითი მტკიცდება, რომ იმათ ამ რა წელიწადზედ წინ ბუნტი მოახდინეს, რგორც ამბობენ თვითონვე, ამისათვის რომ ჩუწნი ქრისტიანობა რათ ვრცელდება. ეს ამ გუარნი ჩუწ- ნი ყოფაქცევა სამღთო წერილთანაც თანახმა იქმნება რადესაც ადამი აცდუნა ეშმაკმა სამოთხეში, ღმერთმან ეშმაკი არ ვი დას- წუკვლა, არ ჩაკდო საზურობილეში, ვი არ მოკვლა, არამედ უთ- ხრა: „შენ ხომ ჩემ წინაღიმდეგად მოიქეცი, აცდუნე ადამი, დაა- კარგინე მას სამოთხე და ნეტარება, აბა ახლა მიუურე, შენ გამო- ჰაკრებელი, რგორც გავაბედნიერო შე ისაო. შე მოუკვლინებ მას

ჩემს საყვარელს ძეს, ის გამოიხსნის ადამს შენის ხელიდან, და მიანიჭებს რა იმოდენა ნეტარებას და დაგირვლევს მაგ ცბიერს პლანსა“. ეს რასაკვირველია ეშმაკს ძლიერ ეწეინა, ამისათვის რომ იმისმა საქმემ კაცა უფრო გააბედნიერა. ქრისტე ღმერთი მოვიდა ზეციდან და გამოგვიხსნა ეშმაკის უფლებისაგან და მოგვანიჭა უფრო უმეტესი ნეტარება. აი ღმერთმა თავის მტრის ჯაკრი ასე ამოიყარა. ჩუქნც ასე მოვიქცეთ, მოვინათლებთ ინგილოები უკელანი და ამითი მოუშალოთ მუსუჩმანებს სიხარული ჩუქნს მუსუჩმანობაზედ, და გაკახროთ ცაში ღმერთი და ანგელოზები, დედა-მიწაზედ კი ჩუქნი მთავრობა. სახარებაში სწერია, რომ როდესაც ქუქნაზედ ერთი ცოდვილი მოიქცევა, ცაში ანგელოზებს უხარიათო. გარდა ამისა აი კიდევ რასა ბრძანებს იესო ქრისტე: „უკეთუ ვისმე უყვარდე მე სიტყვანი ჩემნი დაიმაჩხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყვაროს იგი, და მოვიდეთ მისსა, და მისთანა დაკადგრეთ“. ხედავთ, რასა ბრძანებს ქრისტე ღმერთი. რომ ვინც მოინათლებო, ქრისტეანი გახდება, იმის სახლში მე და მამაჩემი ფარულათ მოვალთო და სახლის პატრონს ვაკურთხებთო. ახ, რა დიდი ბედნიერება იქმნება იმ კაცისათვის, ვინც სახლშიაც მოვა ღმერთი!

აგრე ჩემო ძმებო და მეგობარნო! შეისმინეთ ჩემი ნათქვამი, რომ რა არის უნაყოფოდ არ დაჩხეს, და ხმა ჩემი არ მიემგზავოს ხმას უდაბნო-მსასა, რომ რა არის თქუქნზედ არ ასრულდეს ქრისტე ღმერთის სიტყვები, რომელნიც არიან შემდეგნი: „ნუ გადუყრით ღმრებს წინ მარჯალიტსა“.*

მღუდელი დიმიტრი ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.

(*) ეს ქადაგება არის შედგენილი ინგილოებისათვის, როგორც სჩანს ზემოხსენებულისა წარწერისაგან, და მ. ქადაგებელს უხმარია იმათი გასაგონი ლექსები, ასე რომ თვით საღმრთო წერილის სიტყვებიც მდაბიურად შეუცვლია; ამისთვის არ უნდა ეჩვენოს ეს მკითხველს წინააღმდეგად ქართულის ენისა და ჩვეულებრივის მართლწერისა. სიუჟარულისა და სულიერისა სარგებლობისათვის მოუხსისა საჭირო არს არათუ ლექსების შეცვლა, არამედ თავისა თვისისაცა შეწირვა, ვითარცა გვასწავებს სჯული ქრისტესი.

რედ.

სასინოდო სიტუა ნერსეს ლამბრონელისა.

მამათა წმიდანთა და მოძღუართა ჭეშმარიტებისანთა, მთავართა და მწყემსთა ქრისტეს ერისანთა, წინამძღუართა და მმართველთა ღმრთის სახლისანთა, რომელთა გზაჲ დღეს შეკრებულად ერთ სულად და ერთ ხორცად, დიწსად საზოგადოებასა თავისა(1), — ვინ, უკეთესა არა სულმან წმიდამან, ამა მშვიდობამან ზეცით ჩუქნდა მოცემულმან, მოგიუყუნნა თქუქნ, მშვიდობის მყოფელთა მსოფლიოსანთა, ამა მუუდროსა ნათესაუდელსა(2)? და არა მისთვისა, რათამცა იწყოთ აღშენება დარღვეულისა დაცემულისა ტაძრისა ღმრთისა, დაკვეთებულისა პირველის ბოროტის ნაბუქოდონოსორის მიერ, თვით მის მიერ, ვინცა ოდესმე ძველთა დროთა შინა განკრიხნა წმინდა, ოქროსა და კეტხლის სამღუდელთა სამკაული მსახურებისა და მისცა იგი ძეთა თვითა და კურთთა, ანუ ხასათა, სახმარებლად მათთა უწმიდურთა ღვინთა ზედა? მუნ ტყუობასა შინა ვიყავით ჩუქნცა, ძენი სიონისანი, და რა დაკვიდებით საგალობელნი ღმრთისა ჩუქნისანი უნაყოფოთა ძეწითა ზედა თუცხელთა უბადრუკებათა შინა, სულთავითქვამდით და ვსთხევდით ცრემლთა. (მუნ) ენანი ჩუქნნი გარდა-

(1) ესე იგი იესო ქრისტესსა.

(2) სიტყვებითა: „მუუდრო ნათესაუდელი“ ორატორი ანუ მქადაგებელი გულის ჰუმობს კილიკიასა საზოგადოდ და რომკლასა განსაკუთრებით, სადაცა აღძრულ იყო კითხუა შეერთებისთვის სომხის ეკკლესიის ბერძენთაათანა.

ეზვიკენ ღმრთის სათნოადა დიდების-მეტყველებისაგან; ვინაჲღვან ძეთა
თჳს ზენადას მეუღროდას იერუსალიმისა აწა საამო იყო გალობად
ქებისა ღმრთისა ჩუწნისა უცხოსა ქუჭყანასა შინა შერევისასა.

გარნა აწ აღესრულა ესაი ჩისხვისა (ღმრთისა), და საწყაული
შეცოდებათა ჩუწნთა, რადასათჳს ჩუწნ ვიყავით მონებასა შინა უც-
ხობაში, აღივსო, შესრულდა სამეცოდებათ-წლობა უწყებული ღმრთისა
მიერ ზიარითა წინასწარმეტყველისა იერემიასითა. გვაუწყეს კუჭადად
უწინარეს ამისა აგვიამ (2, 10) და ზაქარია (1, 16), (მობევილთა)
სულთა ღმრთისათა, რომელნი იქმნენ ჩუწნთჳს კეთილ-მარწყვებლად
უკუ-მოქცევისა და მეორისა გამახსნისა. მათ წინათ ჰსთქეს, რომ-
ელ დიდება ამა უკანასკნელისა ტაძრისა, რომლისა განმანსლებლად
განზრახულ ხართ იუჟნეთ თქუწნ, გარდაემატება თჳსითა ბრწყინვა-
ლებითა დიდებასა ზიარკელის ტაძრისასა. ამა ახალმა ისუ იოსედე-
კისმა მიიღო თჳსა ზედა თჳსსა დიდ-მშენიერი გვირგვინი (ზაქარ.
6, 11); სულმან ღმრთისამან აღსძრა ზორობაბელ სალათიელისა(3);
და აჴა იგინი შეიქმნენ ჩუწნს მხსნელებად ტყვეობისაგან, ჩუწნ წარ-
მეუახნებლად იერუსალიმს. აჴა რადასათჳს მე ვხედავ ზიართა ყოველ-
თასა განბრწყინვალეულად, რამეთუ თუჩხნი თქუწნნი მისწუდნენ უკუწ
ბჴეთა სიონისათა, თუმცა ჩუწნცა აწა ძალაკვიძს ჯერეთ საკსებით
მიკეცნეთ სრულიადსა სიხარულსა. და ნუ უკვე შესაძლებელ არს იგი
(ესე იგი სიხარული), რდესცა ჩუწნ ვჴხედავთ სახლსა ღმრთისა ჩუწნ-
ნისასა ისევე დაქცეულად და დატემულად? შესაძლო არასა სიხარული
ჩუწნი იუოს საკსედ, რდესცა ჩუწნ ნაცულად მდიდართა განშენებათა
ტაძრისათა, ვჴხედავთ მხოლოდ გარეშემომწუართა ნეშტთა განმადგუ-
რებელისაგან აღისა ნაბუზარდანისა (4 მეფ. 25, 8)? გარნა ნუ სასო-

(3) სომხის კათოლიკოსი გრიგორი მეოთხე თოქა, რომლისა უპირატესო-
ბითა მოწოდებულ იყო კრება რომ-კლასა შინა, ნერსესი უწოდებს „ისუ იოსე-
დეკისად“ და იმპერატორს მანუელ კომნენსა, რომელიც ზრუნავდა შეერთებისათჳს
ორთა ეკლესიათა—„ზორობაბელად“.

წარმოვიდგინოთ იქმნებით, ბრძენო სურათ-მოძღვარო, განმხილეთ: იწყებთ განახლებას საკანისა ღმრთისა ჩუქნისა, რომელმან მოგიყვანა თქვენ აქა და რომელი პირითა წმინდათა წინასწარმეტყველთათა გიბრძანებს თქვენ ამა საქმის აღსრულებასა. და აჴა უაქარია, განცხადნა ჩა საშუალო ჩუქნისა, იტყვის სიტყვითა ღმრთისათა. გვითხარ, ნეტარო წინასწარმეტყველო: შესაძლებელ არისა ჩუქნდა, მტრედ რიცხუწდთა და ახლად გამოხსნილთა (4), მეორედ განახლება ამა ჭეშმარიტისა ტაძრისა სოლომონისა პირველსავე დიდებსა შინა მისსა? წინასწარმეტყველი მოგიპოებს: „ამათ იტყვის უფალი ყოვლისა-მზურცხელი — განძიერდინ ხელნი თქუქნნი, მსმენელთანი ამათ დღეთა შინა, სიტყუქათა ამათ პირისაგან ჩემისა. და იყოს ვითარ სახედ იუქუქნით წყევასა შინა წარმართთა შორის, სახლი იუდასი იაკობისა და სახლი ისრაილისა, ეგრეთ განგარინე თქუქნ, და იუქუქნეთ გურთხევასა შინა, მინდობილ-იუქუქნით და განძიერდით ხელთა მიერ თქუქნთა. მით რამეთუ ამათ იტყვის უფალი ყოვლისა-მზურცხელი: ვითარ სახედ ვიგულე განბრცხება თქუქნი განრისხებასა შინა ჩემსა, მამათა მიერ თქუქნთა. და არ შევინანე ეგრეთ განმიწესებეს და გულად მიმიდიეს ამათ დღეთა შინა კეთილისყოფა იერუსალიმისა და სახლისა იუდასისა კადნიერ იუქუქნით. ესე არიან სიტყუქანი, რომელნი ჰყუქნეთ: იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცადი მოყუქსისა მიმართ თვისისა, და სასჯელი მშვიდობითი სიმატლით საჯეთ ბჭეთა შორის თქუქნთა; და თითოეული უკეთურობასა მოყუქსისა თვისისა, ნუ სიტყუქავთ გულთა შინა თქუქნთა, და ფიცა ცრუ ნუ გიყუქსკე, მით რამეთუ ესე ყოველნი მოვიძულენ, იტყვის უფალი ყოვლისა-მზურცხელი“ (უაქარ. 8, 9—18). „და ისენით გულთა თქუქნთა, გზათა მიმართ თქუქნ-

(4) კრება რომაელებისა, მოწოდებული 1179 წ. უპირატესობასა ქვეშე გრიგორისა, შესდგებოდა კათოლიკოსისგან ანჯანისა ასიის ალბანიისა, ცხრათა არხიკპისკოპოზთაგან და 22 ეპისკოპოზთა, თვნიერ ვარდაპეტთა და მრავალთა დარბაისელთა.

თა: აღკვეთით მთასა ზედა და მოჰკრწებთენით ხენი და აღაშენეთ სახ-
ლი, და სათნო-ბუიერ მის შორის, და შორის ვიდოდო მე, თქუას
უფალმან“ (ანგ. 1, 8).

აჭა თქუენ თუთ გესმის ხმა უფლისა თქუენისა, რომელმან
შეგკრიბნა თქუენ ოთხთაგან ქართა ცისათა. ასულხო სიონისანო,
აღმრდილხო ბაბილონსა შინა შეკრენისასა და ხრინცელსა შინა ქა-
ლანისასა (ემოს 6, 2); თქუენცა განღვიძებულხო ნეშტხო ერისანო
(შეკრებულისა) აწ ნებისაებრ ჩუენისა მღუდელ-მთავრისა იწუეთ, შეუ-
დებით საქმესა იესო ქრისტეს ღუთისა ჩუენისა სახლის აღშენები-
სასა. უკეთუ სათნო-ბუიეროთა თქუენ, მაშა უწინარეს ყოვლისა მივი-
დეთ რჩევა სჯულის მეცნიერისა ეზდრასი (10, 3, ფსალმუნი 136,
9): ჩხვილნი, შობილნი ჩუენდა ქალდეკელთ თელისაგან, შევასეთქ-
ნეთ ქუასა; მივითუხოთ მილტოლვა მამათა ჩუენთა ნეტარებისადმი,
რათა არა განრისხდეს ღმერთი ჩუენი, მხედველი ჩუენისა განდრე-
ვილებისა მისის სჯულისაგან, და განსაკუთრებით რათა კეთილს დაწ-
უების დროს აღშენებისა წმიდისა ამის ტაძრისა არ დაგვაბრკოლონ
შვილთა უცხო-თელთასა. (მხოლოდ) მაშინ ძალ-გვიძს დიქსად შეუდ-
გეთ აღშენებასა ტაძრისასა და მაშინ არ მოგვაკლებს ჩუენ თუხსა
მოვარეკლობასა ყოვლად უხვი ხელი (ღუთისა) განახლების დროს სახ-
ლისა მისისა.

იქმნება რომელთაჲე განგვიცხოონ ჩუენ განკრცელებისათუხ სა-
ხისა, (მგონებელთა), რომელ ჩუენ უკუესდგებით ჭაზრისაგან წინა-
მდებარისა საგნისა. გარნა მე არა ესრედ ვჭგონებ; მე მივიღებ ჭეშ-
მარტიტებასა, უწუებულსა ჰავლეს მიერ: უესე ყოველნი სახენი შეგვემ-
თხვეოდეს ჩუენ, ხოლო დაიწერა სამოძღურებელად ჩუენდა“ (აკორ-
10, 11). რამეთუ უკეთუ ჩუენ გვრწამს, ვითარმედ სისხლითა ჭეშ-
მარტიტისა კრავისათა გამოვიხსნებით უხილავისა ფარაონისაგან, ვი-
თარცა (ოდესმე ებრაელი გამოიხსნენ) ხილულისაგან; ვითარმედ
ჩუენ განუდით ზღუასა ცოდუათასა, ვითარცა მათ წიაღველს მეწამული

ზღუდა, მქონებელი წინამძღუდრად სულიერისა ქვისა, ვითარცა მათ (აქუნდათ :ჲა) ნიუთიერი; (უკეთუ ჩუენ გერწამს, ვითარმედ) შუამდგომელობითა იესო ქრისტესითა ჩუენ აღვალთ ზეტად, ვითარცა ისუ ნაკეს მიერ (შევიდნენ) ქუენასასა შინა აღთქმისასა; ვითარმედ ყოველი ესე ჭეშმარიტად შეგვემთხვევა ჩუენ საშუალობითა სიყუარულისა და საწმუნოებისათა, ვინადგან ყოველი ღუთიუ-ნიჭებულნი წიგნნი გვაუწყებენ, რომელ ჭსჯულნი გამოხატავდნენ ახრდილსა მეჩმეთა მათ კეთილთასა (ებრ 10, 1),- მაშა ტაძარცა ღუთისა აღშენებულ არს საშუალ ჩუენსა, ვითარცა აქუნდათ ებრაელთა, და ჩუენ (ყოველგან) თან დაგვეჩინდა კარავი წამებისა ყოველსა ყამსა მიმოსვლისა ჩუენისასა უდაბნოსა შინა:

გარნა რიდასთჳს საუბარსა ჩემსა წარმოკვსთქუამ იგავით და არ გამოვაცხადებ მას წინაშე წმიდისა საწმუნოებისა თქუენისა? ქრისტეს ბრძანებითა წმიდათა მოციქულთა აღმარტეს კარავი წამებისა წმიდის საწმუნოებისა, ოდესცა ჩუენ ისევე მიმოვლიდით უდაბნოსა წარმართთ დევნულებისასა; ვინადგან მოციქული იტუვის: „მე საფუძვლად დაკვდე იესო ქრისტე; კაცადკაცადი ეკრძავენ ვითარძი აღშენებდეს, რამეთუ თქუენ ტაძარნი ღუთისანი ხართ და სული ღუთისა დამკვდრებულ არს თქუენ შორის: ხოლო ქრისტე ვითარცა ძე სახლსა ზედა მისსა, რომლისა სახლ ვართ ჩუენ, ხოლო სახლისა მისისა ზღუდელ-მთავარი ქრისტე“ (1 კორ. 3, 10, 11, 16; ებრ. 3, 6). ამას სახლსა საწმუნოებისასა, რომელი მათ აღშენეს ქრისტესედ და ქრისტემან მათ ზედა („ამა კვდეს ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი), მამანი ჩუენნი გრძელ ყამსა დიდებითა და პატრუთა ატარებდნენ უდაბნოსა შინა წარმართთ დევნულებათასა: აქაცა ამას სასულიეროსა სახლსა შინა საწმუნოებისასა რომელსა შინა იმყოფებოდნენ ღუთიუ-დაწერილი ფიცარი ქრისტეს გუამისა და მის აღუკავებულ კვერთხი — მოწამენი, რომელნი შევიდნენ ბრძოლასა შინა და შესწირეს თავნი თჳსნი მსხვერპლად, ხოლო წმიდათა მღუდელ-მთავართა მიუძღვანეს ღმერთ-

სა მათნი ახორციელებანი, ვიდრე (დასასრულ) იგი მოწყალე იქმნა და მიგვიყვანა ჩუქნი უამსა კეთილმსახურთა ხელმწიფეთასა მშვიდობისადმი ეკლესიისა, ვითარცა (ოდესმე ებრაელნი) აღთქმის ქუჩისა და შინა. ამისთვის ვითარცა სოლომონ განაახლა სატარებელი ტაძარი კარვისა და ქუთათგან დაამყარა სახლი ღმრთისა, ნამდვილად ეგრეთვე კეთილმსახურმა მეფემ კონსტანტინემ, საშუალობითა მსოფლიოს ნიკეის კრებისათა, შეურყეველსა საფუძველსა ზედა დაამყარა ადგილითი ადგილად მიმოქონებული სახლი საწმინთებისა—ეკლესიის ქრისტესი, რომელმანცა თითქმის ხელახლად განაახლა იგი და პირველივე მშენებელი შეჭმოსა მას, უსახურ ქმნილსა უდაბნოსა შინა დევნულებათასა. და ესე ჭეშმარიტი სულიერი ტაძარი ჩუქნი იყო აღშენებულ ღმრთისა კონსტანტინესა თანა შემწყობითა 318 წმიდითა მათათა ეგრეთვე, ვითარცა ნიკთიერი ტაძარი ებრაელთა სოლომონის ზე: აჩრდილი განქარგიდა და ადგილი მისი იზურა სიმართლემ (ესე იგი ჭეშმარიტებამან) პირველ დაწყებითსა სახესა შინა და მშენებელსა. კარავმა წამებისა ქრისტეს მადლისამ ადგილებულმა მოციქულთა მიერ და მიმოზიდულმა მათთა შედგომილთა მიერ, მიიღო მტკიცე საფუძველი კონსტანტინეს ზე წმიდის ნიკეის კრების მიერ, და მათინ ამ ტაძრსა შინა აღშენებულ-იყო ტრავპეზი ღმრთისა: არა მარტო საგურთხეველი განწყობისა, ჩვენებული მოსეს მიერ და აღშენებული ვესელილისა მიერ, არამედ სიმშვიდე, სიმდაბლე და სიუფარული, ბრძანებულნი ქრისტეს მიერ, აღსრულებულნი (საქმით) მოციქულთა მიერ და მათ მიერ ჩუქნიდა მცნებულნი. ამას (ტრავპეზსა) ზედა განისვენა მან, რომელმანცა არა უწყობდა თუ სადა მიიღო იგი თავი თვისი; იგი უფრო რე ამჯობინებდა ცხოვრებად აქა ვიდრე ეტლთა ზედა ხურუვიმთასა. ხოლო ოდეს კაცთა იხილეს, რომელ ჩუქნი შევიქმნენით ტაძრად ღმრთისა და რომელ სული მისი წმიდა დამკვიდრებულ არს ჩუქნი შორის, მათინ განბრძნობილ იქმნენ იგინი, იჯმენ უსულათა სტინიოთაგან (ქმნულებათაგან), ვითარცა

ოდესმე ტომნი ისრეკლთანნი, და იწყეს შეწირვად კარავსა შინა ღუთი-
სასა არა რქრამსა, ძაწყულისა გინა ნიუთიერისა ჰრეფიერისა არამედ
თავთა თვსთა რამეღიმე საშუალობითა სიწმინდისათა, რამეღიმე მორ-
ხილებითა, ხოლო რამეღიმე საშუალობითა მოწამებითასა სისხლისა
თვსისათა. ბრძენნი ხურათ მოძღუარნი მიმღებულნი იქმოდნენ მათ-
გან კრეტსაბმელსა და კარავსა წამებისასა ქრისტეს ღუთაებისასა. არა
რამ არ იყო შეუწყნარებელ; განურჩევლად მიიღებოდ ყოველივე
თითქმის უვარგისი ნიუთი რვალიცა და თხის ბალანიცა რამე-
თუ ყოველი ესე ზომისაებრ და მადლისა ემარჯვებოდა (აღშენებისა)
კარავსა საწმინოებისასა, ესე იგი, იქმნებოდა, განშეკენებად ქრისტეს
სახლისა: მონანულნიცა, მუძავნი და კაცის-მკუჭელნი, მომზებულნი შეწ-
ყალების (კაცნიცა) გაშავებულნი განდგომილებითა, გარნა შემწირველნი
სინანულისანი. რამეთუ განშეკენებისათვის საზოგადოებას კარვისა საჭი-
რად არს ყოველი-ბარბაროზიცა და სკითიცა ყოველივე ქრისტეს მიერ
და ქრისტე ყოვლისა მიერ. არა მხოლოდ ერთის ეგვიპტისაგან აღი-
ღეს მათ და გამოიტანეს ესე ნიუთიერება; არა-დაწყობილი იერუსა-
ლიმით ილირიადმდე, სამხრეთით რინიკურადმდე (5), სამკვიდრებუ-
ლისაგან სემისა ჩრდილოეთის სამძღურობადმდე იასუეტის სახლისა,
მათ განუღესთერხით ვნებულთა სხეულებითა, გარნა მტკიცეთა სულებითა
და ყოველნი ჭყუნეს მოწათებად თვსად. მათ აღმართეს ქრისტესასა
ზედა კარავი საწმინოებისა, რათა მოქმედება საქმისა ღუთისა მიეწერე-
ბოდეს ღმერთსა, და არა კაცთა. და შესაძლო არს-კაცთათვის ისა, რამცა
საკვრველად აღასრულეს სულებით განცხადებულთა წმინდათა, რამეღმთა
ერთნი კუთხე სოფლისა მოაქციეს ერთ კაცად, ერთ ჰერად ერთ სუ-

(5) რინიკურა ანუ რინოკორურა არა სხუა რამე არს, ვითარ წოდება სი-
რიის ქალაქისა, მოსამძღურისა ლიბიისათანა, გინა ეგვიპტისა, არა არსა რინო-
კურია ნესტორ ნირკური ჩუჭნის ავტორისა? იხილ. მისა წელთ რიცხაობა იპტ-
სიისა მებრ დასაწყისსა შინა.

ლად, ერთ ხორცად, ერთ ტანად ღმთისად? ჰა საკვირველებს! საქმე (რომლისა აღსასრულეებლად შეძლება მეფეთა და ძალი მთავართა აღმოსხნდნენ უძლეუბად, შეიძლეს აღსრულებად კაცთა გამწარებულ, წამებულთა. შეჭკრიბნეს რა, შეიპყრეს ყოველნი საკვირველს ერთ მოწმუნებასა შინა კაცთა ამათ მომკუდართა სოფისათჳს ხოლო ცხოველთა ღმთისათჳს, ამა მშვიდობის მეოფელთა მსოფლიოსათა, რომელთა შეიკრიბნეს ერთად განყოფილნი ხალხსა შინა.

ხოლო რადსაგან არს მათდა ესრეთი ძალი?—რასაჳკრველია მისგან, რომელ მათ ხელ-ჭეუკს საქმესა ღმთისასა განუციტელითა სარწმუნოებითა; მისგან, რომელ იგინი ყოველთჳს მხნედ მასპყრობდნენ თჳლთა თჳსთა მეოფადსა დიდებასა; რომლისაგან ნებაყოფილობით მისცემდნენ თაკთა თჳსთა წმინდად მუძიებულთა ცხოვრებისათა, ვითარცა სწერს მოციქული: „არამედ დაღათუ შევიწიკვი მსხვერპლსა მას ზედა და მსახურებასა სარწმუნოებისა თქუწნისასა, მიხარის და მიხაროდესცა თქუწნი ყოველთა თანა“ (თილიზ. 2, 17), და ვითარცა იტყუდა პეტრე, საფუძველი ეკლესიისა: „ვნებანი ძმობისა თქუწნისა ჩემ შორის აღსრულდნენ (თარგ. კზისტ. პეტრეს. 5 9) საყვარელთა მოწათეთა სიუვარულასათა მხოლოდ მაშინ შეეძლოთ დამყარება ქუწყანასა ზედა სიუვარულისა, რდესცა თჳთ იქმნენ სახედ ჯუჳარისა და სისხლისა ზეციერისა მშვიდობის მეოფელისა— ქრისტესი. და მარქუთ: ვითარი სახელ დობრ ნყოფი მშვიდობისა მოართუეს მათ მაშინ ქუწყანასა? რა საკურველია ისრეთი, რომელ ქუწყანა შეიქმნა ცად, და დიდებამ, იმ დროდმდე აღუჯნილმან ზენას—ღმთისადმი, იყუ განკრცეულებად ქუწყანასა ზედა და დიდების-მეტყუველებამ სეკრადიმთა პირისაგან ყოველისა კაცობრიობისა დაუდუმებლითა ხმითა აღავსო ესე სუფიერი ტანაჩი სარწმუნოებისა. (მაშინ) მოწამეთა იყეს აღჭურვად, წინამძღუართა წკრთად, მოღვაწეთა—შთავარებად ახოვნებისა, ხოლო მოძღუართა—მღვიძარებასა: იგინი სუფგრძლებით დაითმენდნენ სიძნელეთა, განამრავლებდნენ მოწყალებასა, განაკრცელებდნენ სიუ-

უარყოფს და პატივისცემით გარემოს აღუდვიდენ მისგან შობილთა შვილთა; იზრდებოდნენ და განსძლებოდნენ მარადის ზეციურითა მანანათა და, მოწყუენი სახარების კლდისაგან, განშვენდებოდნენ ყვაილებითა.

უხენაესმა ღმერთმა იხილა ესე ზეცით, მოხედა ახალსა აბელს — იხლად-შობილსა ძესა თვისსა და მსხეობასა გუამისა მისისასა — ეკკლესიას: და სათნო-ყო მას სუნი კეთილ-სუნელებისა. შემდგომად მისა მან გამოიყვანა იგინი უღაბნოსაგან დეკნულებათა წარმართ-მთავართასა და მოიყვანა იერუსალიმსა შინა სულაიერისა და ქუჭყნიერისა მშვიდობისასა საშუალობითა კეთილ-მსახურთა ხელმწიფეთასა. მან აღიღო ხელში კუკრთხი რკინისა და იყო მწესად ეკკლესიისა თვისისა არა მკაცრად ვითარცა ოდესმე მწესიდა ისრაილსა, არამედ სიმშვიდით და მოწყალებით; რამეთუ ვინცა მუქარაობით შემუსრნა ზიკუენი, იგი აწ სიმშვიდით შეაერთებდა უკანასკნელთა. და რადგანაც მოძღვრებამ ასწავა ყრმათა მოწილება, მისთვის ღმერთმანცა იყო ჩუჭნებად მათდა სიუარყოფისა თვისისა: მიაქცია მახვილი რისხვისა (ქარქაშისა) და გარე წარაქცია მღვრიე სასმისი, მიერთეული (ოდესმე) ასულისადმი სიონისა; გამოსცადნა იგინი და (შემდგომ) მისცა მათ ერთად სულაიერისა მშვიდობისათანა განსვენებაცა ხორციელი. მან მოჭხსნა ქედისაგან მათისა ჯაჭვი წარმართთა მიფლობლობისა და მართლ-მსაჯულებასა შინა თვისსა აღადგინნა მეფენი მართალნი და ღუთის-მოყოფარნი: მისცა მათ ხელთა შინა კარავი მათის საწმუნოებისა, რათა მათ აღაშენონ იგი სულაიერითა, არა კაცობრივის ხელგუნებით გათლილთა ქუებითა. შემწეობითა კეთილ-მსახურისა კონსტანტინესითა, ახლისა ჩუჭნისა სოლომონისათა, მოიყვანა მან ოთხთაგან კიდეთა ქუჭყანისათა, ბრძენნი ხურთ-მოძღვარნი, რომელთა საშუალობითა მან შეენიერებით აღაშენა ტაძარი საწმუნოებისა თვისის ეკკლესიისა. მათ განაშვენეს იგი უხრწნელთა ოქროდთა სიბრძნისათა, გამოჭხატეს გარემოს მისა ზეციურნი ხერხუიანი ქუჭყანასა ზე-

და, და ყოველი მსოფლიო ჰყვეს ერთ სახლად ერთისა ქრისტესთვის და ერთ ეკკლესიად. მას ღმრისა შინა ანა ვინ არ იყო გლახაკ სიკეთითა; ჩუწნს ქუწყანაშიაც თქონ და ვეცხლი, ესე იგი სიწმინდე და სიწმინდე, იუჟენ ვითა ქუწანი. მაშინ გაბედვით გამოდიოდნენ მღუდელ-მთავარნი, მოადგილენი ქრისტესნი, განმგებლობასა ზედა სახლისა მისისასა; ბრძენთა მოწყემსთა იწყეს მწყსადსა სამწყსოთა, შეიქმნენ მკურნალებად, აშორებდნენ დამწალთა წევრთა, ხოლო მღვიძარენი მღუდელნი მოაწმებდნენ საყრდენ გუნდრუკსა, მაშინ შეიძლებოდა ხილვა ქრისტესი, ვითარცა სიძისა დიდ მშენიერსა სამოსელსა შინა მიმავალისა საქარწინოსა საწოლსა ზედა თვისსა: ტბილითა შესწმინთა იგი მიიქცეოდა უმანკოდსა ქალწულისადმი მეტყველი: „განაკრცველუ ადგილი კარვისა შენისა, და მოსაკიდელნი ეზოთა შენთანი აღმართენ, ნუ ჭრიდებ, განაკრძელენ საბელნი შენნი, და მანანანი შენნი განაძლიერენ. მერმეტა მარჯვენით კარძო და მარცხენით კარძო განჭოინენ, და თესლმან შენმან წარმართნი დაიმკვიდრნეს, და ქალაქნი მოხრებულნი დაიმკვიდრნენ. ნუ გეშინიან, რამეთუ გრცხვენა, ნუცა გეკდიშების, რამეთუ იუკედრე, რამეთუ სიწმინდე სიუკუნო დაივიწყოს, და უწუდრება ქუწიობისა შენისა ანა მოიხსენოს მერმე, რამეთუ მე ვფუტე და ამიერითგან მერმე არღა შევინანო, განვისკუნო შენ შორის, რამეელი ხარ განსასკენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე“. (ისაია 54, 2 და შემდ.). მაშინ პირველ დაწყებით—ბოლოტმა მტერმა, რამეელი ფარულად (იმ ღმრდმდე) ვერ მიხედა, სცნა რა რამეელ მანქანებანი მისნი კდემულ იქმნენ; რამეელ მსოფლიო აღუვადა ღუთის-მისა ხურებოთა; რამეელ მოტყუებულნი გუაღად გამოხსნილ არიან; რამეელ სამოთხის მემკვიდრეთა მიისწრაფეს მამულსა თვისსა; რამეელ ქვემძრომა ქუწყანასა ზედა გემოთ-მეყვარებამან ჭსცა ადგილი განბწყინებულსა ზეციურსა სიწმინდესა; რამეელ ორღანო სიძულელისა შეიმუსრა და ნაყოფმა სიუწარულესამ იყო განმრავლებად; რამეელ სასოება ყოველთა, განიხსნა ყოველისგან ქუწნაღსა, ამაღლდა და გა-

ნისკენა ზეცისა სამკვიდრებულსა—იწყო გამოძრომს სოცლისკან თუ-
სისა სიბოროტისა და მუვიწალმა ვითარცა ლომმან, იწყო ტრიალი
დაღრენილითა პირითა და სცდილობდა შთანთქმად ეკლესიისა, რომ-
ელი გამოხსნილ არს ქრისტეს მიერ. დასაბამსა უძლური დატყეულ
იქმნა: ერთმა სულმა, ერთმა ხორცმა, განმტკიცებულთა თავისა მიერ,
ჭკუეს ამოდ მანქანებანი მტერისანი. უკეთუ იგი ესრელდა ვისმე ჩუქუ-
ლებრივთა ისართა თვსთა, და დააკეთებდა მრუშებითა, კაცის-მკუ-
ლულობითა გინა სხვითა ბიწიერებითა— მიისწრაფდნენ მუნ ბრძენნი
მკურნალნი და დამყარებდნენ მას პირველ დაწყებითსა სიმართლესა
შინა. ხოლო ოდესცა (მტერმან) დაინახა, ვითარმედ კიცხვითა აღი-
სო ბრძოლა, რომელი მას, დამყარებულსა ცთუნებასა ზედა, აქუნდა
ხვეულებრივ მარცხენესა მხარესა ზედა, მაშინ მან ხელი სტაცა სა-
ჭურველსა მარჯვენისა მხარისასა. გარნა რასა შინა მდგომარებდა იგი
(ესე საჭურველი)?—მას შინა რომელ ვითარცა დასაბამსა უოკლად
შემაცოუნებლითა მოტყუებითა განმტყემელმან, მიიზიდა რა ბიწებითა,
გამოდუნა კაცი სამოთხით, ეგრეთვე აწცა იმავე (საჭურველითა) გა-
მოვიდოდა იგი ახვარესა ზედა ბრძოლად ჩუქუნთა აღჭურვილთა
(მოკრინალთა) თანა. „რა სახმარ არს ჩემდა, იტყვის იგი, მოწყულსა
თქუნნი კერძოთა ისართა მიერ და გამოსულსა ბრძოლით ძლეულად?
ჩემთვის საჭირო არს უოკლად აღმხორციელი მანქანა (მაშინა), ჩემთვის
საჭირო არს იარაღი, რომელსა შეუძლიან მოქმედება თქუნ-
თა მყართა კლდეოა ზედა. თქუნნი მიგიღიეს კანონად სიყუარული,
რომლითა ვასხებითად ჭკურნებთ თვსთა წყლულებათა: მე მას გარ-
დავაქცევ სიძულილად და მით სრულიად შეგმუსრავ თქუნნი. თქუნნი
მიგიღიეს მცნება მშვიდობისა და შენაწევრებულხართ ერთ ხორცად:
მე გარდავაქცევ მას მტერობად და ერთობასა თქუნნისა განკუთვ-
მრავალ ნაწილად.“

მიჭხედეთ რასა იტყვის უოკლად ბოროტი (მტერი, განცოფე-
ბული) სიძულილითა, რომელიცა უცხო არს სინახულისკან: ამა

ბრძოლისათვის, იტყვის იგი: „მე განვამზადებ უძლეველსა იარაღსა ანა-
მას, რადსა ცნობად თქუენ მეცნიერ ხართ—ანა ცოდუათა, რომელ-
თაგან განსწმდებით სინანულითა; ანა სიძულილსა, რომელსა აუუ-
დებთ სიყუარულითა; ანა ქცევასა იძულებითსა, რომელსა სთრგუ-
ნავთ ნებაყოფლობით—მეგობრულითა მეცადინეობითა; ანა კიცხვასა
გინა კაცის კუელსა, რომელნი გძულან თქუენ, დამდებელთა სასოები-
სათა (მოცემულსა) აღთქმასა ზედა; მაშ რასა, მკითხავთ თქუენ?—
თვალნი თქუენ ყოველთანი მიქცეულ არიან სასოებასა ზედა და თავსა
თქუენსა,—ქრისტეს ზედა; მე მაქუს ღონის-ძიება განმოკებისათვის
თქუენისა ურთიერთისაგან, ესე არს სწავლა ჭკრეტად მისა სხუა და
სხუა გუარად. ვითარცა ოდესმე პირდა-პირი ბრძანება ღუთისა სიტრუ-
ვით განუმარტე და დავუც თქუენი პირველი მამა; ნამდვილად ებ-
რეთვე აწცა შესაძლო არს ჩემდა სიტყუანი წერილისანი რომელთა მე
თქუენგანთა დავანახო წინააღმდეგობის ჭეზრსა შინა და მით აღვრიერთ
თქუენ ყოველნი; იქმნება მოკახეზრო, დაგინულა რა გონება თქუენი,
გაჭკრეტინათ თქუენ შუამდგომელსა ზედა მშვიდობისასა, ვითარცა
მიზეზსა ზედა სიძულილისასა. იქმნება მომიხდეს მე, რომ შეგიყვან-
ნათ თქუენ, ცთომილებათა და გასწავლათ თქუენ, ვითარცა ოდესმე
პირველსა მამასა თქუენსა, ჭკრეტა ცხოვრების ხესა, ვითარცა ცნო-
ბასა ბოროტისასა. დიალ, ცოდუა, რომელიც მიუჭარს ყოველითა გუ-
ლითა, ესე არს მტერობა განმოკრებული სინანულითაგან; ესე მზვარობ-
რობა, სურვებადი ჩემთვის წყუდიადი, რომელი არა განქარდების ნათლითა
მეცნიერებისათა.“ ძმანო, მან არათუ მხოლოდ მოითუქრა ესე, აგრეთვე
კიდევ აღასრულა; არათუ მხოლოდ მოინდომა, აგრეთვე კიდევ შე-
ასრულა: მან ესწოლა ქუები ტამარსა ქრისტესსა, და შეაწყია იგი;
განსჭიმა თვისი შვილდისარნი და უქმნა წყლულებანი რხეულთა. კაჲ! (მან
ესე ჭქმნა), რამეთუ თვით სახლსა შინა ღუთისასა აღმოხინდა ბორო-
ტება: წინამძღუარნი კარვისანი გარდააქცივნა დამარტეველად მისა,
მთავარნი მისნი ჭქმნა თვის მონაწილეებად საქმესა შინა აღხრებისასა,

ხელთ ვწყემსნი—განმყოფელად თვს შორის სამწყურსო. მან აღადგინა მაკედონიონ მტრად ჰირის-პირ ნიჭთა სულისა წმიდისათა, რომელსა შთაგონა უნებისყოფა ღმრთავებისა მისისა; უჩხეკდა ნესტოვსა ანა ცნობად დიდებისა მხალად-შობილისა და გამოუთქმულისა განხორციელების საიდუმლოდსა; ასწავებდა ეგვიპტის გურნებისა წყუდიადისასა წყუდიადითა და წარმოდგენასა განკაცებისასა ანამედ ანა ნამდვილად.

რადღა ანს შემდგომ ამისა? — ამიერიდგან სიტყუა ჩემი ანს უწყება საგოდებელთა შემთხვეულებათა: ვინაოდგან შემდგომად ამისა (მტერმან) დამუსრნა ერთობა ეკკლესიისა მრავალ ნაწილებად: დაიწდა ტაძარი ღმრთისა აღშენებული ჭეშმარიტისა სოლომონისა მიერ საშუალობითა ბრძენთა ხურათ-მოდღურათათა; აღიფხვრა საქმე ნეტარათა მოციქულთა, უხილავმა ნაბუქოდონოსოვრამა გამოგვაცლევინა ჩუქნ დიკადმდე სასმისი რისხვსა ღმრთისა; წარსტყვენა ქუანი ტაძრისა ღმრთისანი ბაბილონსა შინა შერევისა და მტერობისასა; და ანა ხელთ ქუანი, ანამედ საღმრთონიცა ჭურჭელნი ტაძრისანი წარიტაცნა და წარიდო სახლსა შინა თვსსა ქუჭყანასა შინა სენაარისსა. ნუ შერაცხთ თქმულსა ჩემ-მიერ უქმ სიტყუებად: მიჭხედეთ ყოველსა სასულიეროსა საქმესა ჩუქნსა ამა ნივთიერისა მაგალითისა-მებრ. ნუ უკუჭ ანა მიფლობელობენა ჩუქნთა ჭურჭელთა ზედა შვილნი ბაბილონისანი და გურონი უხილავის ნაბუქოდონოსოვისანი? ნუ უკუჭ მათ ხელთა შინა ანა ჭხედავთა სასმისსა სიყუარულისასა, რომელსა ჩუქნ მივართმევდით ერთი-ერთსა? ნუ უკუჭ ანა მათ მიგვტაცესა და ანა მათ აქუსთა თვსთანა ოქროს სასაკმევე, ესე იგი სიყუარული ღოცუათადმი? თქუქნ იხილეთ და ჭხედავთ უკუჭ, რომელ შვილთა უცხეთესლთასა წარიდეს ჩუქნგან სიმართლე სჯულისა და მსჯავრისა, რომელთა მიერ განშეკენდებოდა ტაძარი ღმრთისა. ძმანო, ყოველი ესე ოდესმე შეადგენდა საკუთრებასა ჩუქნსა, ყოველი ესე ეკუთვნოდა მსახურებასა ჩუქნის ტაძრისასა, ოდესცა ჩუქნ ისევე ვიყავით ტყუქ-

აბასა შინა შეტყუებისას; უფულო ესე სამკაული მამათა ჩუქნთა და-
გოტყუეს ჩუქნი პატრიკად სიწმიდისა. მათ ისწავეს ქრისტესგან სიმ-
შვიდე და ჩუქნც იგი გვიანდერძეს; მათ მიიღეს მისგან ახალი სჯული
სიყუარულის სასმისისა და ჩუქნი გარდამოგვცეს იგი. ლოცუა და გო-
ნიერი მისგან ნაყოფი იყუნენ ჩუქნნი, რომელთა ესა ჩუქნი ვხედავთ
ხელთა შინა (კაცთა) უგუნურთასა მართლ-მსაჯულობა ეკლესიისა იყო
პუცად ქრისტეანეთა, რომელითა მამანი ჩუქნნი განსძღნენ, ხოლო ჩუქნი
ვჭკუდებით სიყმილით.

ესრედ უხილავმა მტერმა შეიშურა მხოლო სულიერი ტაძარი
მაგალითისა-მებრ ნივთიერისა ტაძრისა, ჭურჭელი მისნი წარმო-
ტყუობასა შინა თჳნიერ ღუთის კიდობნისა, ესე იგი საწმინდობისა,
და თჳნიერ საღმრთოსა ტეტხლისა, ესე იგი სიწმინდისა, რომელი
სიბრძნეჲს ღუთისამან დაჭყარა ღრმათა შინა ჯურღმულთა სწაკლი-
სასა საღმრთოთა წიგნთა და რომელთა, ვითარცა საგანთა საღმრთო-
თა და ანგულოსებრივთა, მტერი ვერ იზოვა ღირს შეხებად ბიწიერი-
თა ხელითა: აჴა მხოლონი ნივთნი, ზრუნვისა-მებრ ტისა დახწეულნი
მისის შეხებისგან! ვინაჲდგან ტაძარი, ესე იგი ერთობა ქრისტეა-
ნებრივთა ერთა და მშვიდობა მათ შორის, შეიშურა მანქანებითა
მტერისათა; ჩუქნცა აღშენებულნი ერთსა საფუძველსა ზედა დავირ-
ღვივნით, მიმღებულნი ქრისტესნი საფუძველად მხოლოდ თავთა თჳს-
თათჳს, და არა ჩუქნთა ძმათათჳს. მოქმედებითა მტერობისათა,
აღდგენილითა უხილავისა მტერისა მიერ, იყუნენ შერყეულ კედელნი
სიონის ასულისა, და ქუანი ერთისა ტაძრისანი, შედგენილნი სხუა ჳ
სხუა ერთაგან და ვერ შემდლებულნი უმეტეს შემავრებად ორისავე
მხრის ვაკშირისა, განსქდნენ და მით განაქარვეს დიდება სახლისა ღუ-
თისა. იგინი აღხატეს ჩისხუსა მახვილმან და უმეტრებისა სიყმილმან.
განკათუულნი სიყმილითა, ჩუქნი ვხედით მდინარეთა ზედა ბაბილო-
ნისათა (ფსალმუნი 137, 1) საშუალ გოდებისა და გლოვისა მათი-
სა, რომელნი მოიხსენებდნენ ბჭწინკაღებასა თჳსისა მამულისასა, მა-

შინ წოდესაც უგუნურთა და ქრისტეშემკრძობთათჳს, ვითარცა ოდესმე ეგვიპტე, ეგვიპტე აწ ბაბილონი შეადგენდა საგანსა მათის გაშმაგებულისა სურვილისასა და იგინი თქმობდნენ გულფიცხელობითა ვითარცა ნილოთა გამოწმინდასა შინაგნისა თჳსისა კაცისასა! გარნა ბრძენნი ჭკვირდენ ცრემლთა და არა დასცხრებიან გოდებად და გამოხატვად მწუხარებისა თჳსისა თჳთ მწკელთა გამოთქმათა შინა მიმხედველნი ამა უბადრუკებისა და მისა, რომელ ქრისტიანი ღმრთის სახლისანი განბნეულ არიან გზასა ზედა, ვითარცა უპარგისი ნიკთი, გაცალცალკებულ არიან ტომობისა მეტრ და ვასხებიითად შეურაცხებულენ ურთიერთსა; მათ იხილეს რომელ საგალობელნი ჩუქნნი დაკიდებულ უკრულ არიან ხესა ზედა უნაყოფოებისასა. თუმცადა თჳთოეულსა ჩუქნგანსა ყაშსა ტუქნობისასა აქუნდაცა თაუისა თჳსისათანა სჯულნი ღმრთისა ჩუქნისანი, გარნა ჩუქნ მცირედ ვზრუნავდით მისთჳს, რათამცა აღკვეთდინებინა თაუთა თჳსთა შორის თესლნი, მათ მიერ ჩუქნ შორის დათესილნი. შესაძლო საქმეა გალობად უფლისა, მაშინ, წოდესაც ჩუქნ მოკლებულ-ვართ ტაძარსა ღმრთისასა, ესე იგი მშვიდობასა? გარნა უწყოდეთ, რომელ ესე შეგვემთხვია შემდგომ ტუქნობისა, ესე იგი შემდგომად მისა, ვითარ მტკრმან დაარღვია ტაძარი ჩუქნისა მშვიდობისა. თქუქნ მოგანდობ სჯასა ნაყოფითათჳს, რომელთა გამოიღებდა ყოველი სოფელი, ყაშსა შინა ერთ სულობისასა, ვიდრე ჩუქნ ვიმყოფებოდით კრულად ტაძარსა შინა მშვიდობისასა; ხოლო მე ვერ ვაგებდავ სიტუქნობითა გითხრათ უთქმელი, ვინაჲდგან ამისთჳს სახმარ იქმნებოდა ვრცელი მოთხრობა და ჩუქნ განკუშრობოდით წინათ განზრახულისა საგანისაგან.

ნუ უკრულ ყოველთადმი არა ცნობილ არს, თუ ვითარათა მდიდარათა ნაყოფითა სათნოებისათა გამოიღებდა ყოველი სოფელი, ესე იგი არა, ეკრულა და ღიბია, ოდეს იგი ისევ მშვიდობით დაემყარებოდა ერთსა ქრისტიანსა ზედა საწმუნოებისასა? მას ყაშსა შინა ეგვიპტეში ქალაქი ასუდეკ (ისაია 19, 18) ღმრთისა ეკუთვნოდა წინას-

წარ უწყებისა მეტრ წინასწარმეტყველისა, და რომის სამთავრობო კითხვას კვერთხი რკინისა მსახურებად ყოველსა სოფელსა მტკიცედ და შეუმუსრავ ზღუდედ. აქაია, ელლად, მაკედონია—გამოზრდილნი მოციქულთა მიერ, მოწიყულნი და დამტკიცებულნი ჰაკლეს მიერ, აღმეტყვენ ასიასა და შემწეობითა მადლისა ღმთისათა, არა დასცხრებოდნენ აღორძინებად თესლთა მისთა. ხოლო განსაკუთრებით ქრისტიანთა სომეხთა მოართმევდა ღმერთსა მდიდართა და უხუთა ნაყოფთა იმა დროდმდე, ვიდრემდის დამყარებულ იყო იგი ერთსა ქრისტიანთა ზედ ეკლესიისასა: ჩუქნს მხარეში ღმთისა საკურთხეველნი განმრავლდნენ ვითარცა ცაში ვარსკვლავნი, ხილვისა მიერ წმიდისა გრიგორისა (6); (მას შინა შეიძლებადა ხილვა) თეთრ-თოვლიანთა არკეთა, მწკანვილკანთა საქმეობთა, მღვიძარეთა მწყემსთა, მხმობელთა ტკბილთა ხმითა; რამეთუ (მაშინ) განეშორა მძათერი ჩრდილოეთი და მოჭებრის სამხრეთმა ქრისტეს სულის სიუწარულსამ.

გარნა ოდეს ერთობა მსოფლიოდასა დაიწყო, ვითარცა (დიდი) შეკვეთხვა უბადრუკება! ოდესცა ჩუქნს განვიზრახეთ აღმენება სარწმუნოებისა ჩუქნისა სხუა და სხუა ქრისტიანთა ზედა და ვიწყეთ ბრძოლას ურთი-ერთისა შორის, მაშინ ვითარცა დამარცხება გვიქნია ჩუქნს! ოდესცა გუამი ქრისტესი განსქდა ნაწილებად, მაშინ ვითარცა მოუთმენელი წელულება შეგვეძინა ჩუქნს! ოდესცა წევრნი (ქრისტესნი) შეიქმნენ ერთმანერთის მტრებად, მაშინ ვითარცა აურაცხელი იყო რიცხვი დასჯილთა! ოდესცა შუამდგომელი მშვიდობისა უფალი ჩუქნი იესო ქრისტე ჩუქნს ვჭქმენით საგნად მტრობისა, მაშინ ნაყოფად მისს (გამოსჩნდა) სიძულელი ნაცულად სიუწარულისა, ოდესცა ნაცულად

(6) ნერსესი გულისხმობს აქ წმიდა გრიგორს სომხეთის განმანათლებელსა. წინასწარმეტყველებითისა ხილვისათვის მისისა, რომელზედაც ანიშნებს ჩუქნი ავტორი იხ. აგათანგელოსთან მისს ისტორიასა შინა, ვენეცია, 1835. გვერ. 553 და შემდგომი.

ახლის სკულისა, ზეცით მოძღუერისა მიერ მოწმეულისა, ჩუწნი მი-
ვიდეთ სკულა ამა სოფლის მთავრისა, მაშინ ჩუწნი უგულისხმე ვიქ-
მნებით ყოვლისა სათნოებისადმი. (უკეთუ არა ვსცდები), ძველს ესე
იქამდინ შემაჭირებულ იქმნა, რომელ წარყვანილნი ტყვედ გერ იკად-
რებდნენ წინაჲ წარმტყვენელთა მათთა გალობად უფალსა თვისსა
ქებისა, მე ვიტყვი საწმუნოებისათჳს და აღსარებისა, რომელთა თჳ-
თოეული მათგანი იცავდა თჳს შორის შეუხებელად. ყოვლისა ამის გამო
მრავალ გუწართა უბადრუკებათა შესცვალეს ჩუწნი კეთილ-დღეობა;
რამეთუ იმა დროდგან შინაგანცა და გარეგანცა გულისთქმათა გარე-
მოზღუდეს ერთი ქრისტიანეთა. და რადგან ჩუწნი ნება-ყოფლობით
მოვიძულეთ სულელები მშვიდობა, მისთჳს ღმერთმან მოგუკლო ჩუწნი
გვრეთვე მშვიდობაცა ნიუთიერი. ესრედ ჩუწნულებრივ იქცევა იგი:
ოდეს ჩუწნი სულთ მიკეტემით ჩუწნთა გულისთქმათა. იგი უგულუ-
ბელს ჭყობს ხორციელთა ტანჯუათა ჩუწნთა; ხელთ რაღასათჳს?—
მისთჳს, რათამცა ჩუწნი, ბირებულთა თუმცაღა თიზიკურთა ვნებათა
მიერ, განვივიძოთ და შევინანოთ უზრუნველობასა შინა სულისა ჩუწ-
ნისას. ამისა არა ერთსა მაგალითსა წარმოადგენს ერთი ისრაილთა,
რომელსა ღმერთი არა ერთგვის დასჯიდა ზემოკე მოყვანილას მაგა-
ლითისა-მებრ. მან დაჭყობა არცა ტაძარი, არცა ერთი (ისრაილთა),
არამედ მისცა იგი ტყვედ ბაბილონელთა, ვიდრემდის დასასრულ არ
განიფრთხე ისრაილმან ხორციელისა ტანჯვისა-გამო და არ განთავს-
უფლდა მონებისაგან ცოდუათა. მაშინ მხოლოდ, გამოხსნილ რა იქ-
მნა ხორციელებრთა უბადრუკებაგან, მან თანა შემწეობითა ღმრთი-
სათა დაიკვიდრა პირველივე მამული თჳსი. ესრედ წარმოუდგება ჩუწ-
ნიცა (ხვედრი) პირუთნებელსა გამოვიძიებელსა. ჩუწნი ყოველსა შინა შეუ-
დგით მის მაგალითსა; თჳთ თავით თჳსით იგულისხმების, რომელს ამა-
შიაცა ჩუწნი უნდა უეცრად დამდგარვიყავთ მათ ბილიკზედ. აჴა რაღას-
ათჳს შემდგომ ნებაყოფლობითისა შთაგდებისა თავთა თჳსთა უფს-
კრულსა შინა განხეთქილებითისა ჩუწნი დასასრულ გამოვსხნდით მო-

ნებად ხორცილთა: წყლულებს განძინდა და შეუწავს-ჰყო კურნებას საშუალობითა სიმშვიდისათა. „თერხთიდგან ვიდრე თავამდე არა არს მის შორის სიმართლე; მომწიწარ, სოფელსა თქუძნსა წინაჲ თქუძნსა უცხონი მოსჭამენ.“ (ისაია 1, 6 და შემდგ.), რათა (იძულებულნი) უნებლიეთ ეძიებდეთ კურნებასა.

გარნა რა გარდახდომილებაჲ ესე რომელმანცა დაიმსახურა ესრეთი ფიცხელი სასჯელი? იგი საცნაურ არს ყოვლისადმი ზიროსებულისა მოაზრისა. გარდახდომილება ესე იყო არა ხორციელი, რომელთა შეენდობა სისუსტესა (კაცისასა), არამედ სულიერი, რომელსა არ შეუძლიან ზოგნა დროებისა და შეწირვა სინანულისა, არა მომეტებულად ვრაცხ გამოკვანტო იგი აქა არა მრავალთა სიტყუათა შინა; ჩუძნ ვართ ერთმანერთის მტრები, არა ხოლო ხორცილთა, არამედ სულითაცა; მოვიძულეთ ერთმანერთი არა იმ განზრახვით, რომ ერთმანერთს ვაკნოთ, არამედ საელყო საყვარულთა ღუთისა მიმართ, და მიზეზი მშვიდობისა — ქრისტე, ჩუძნ ვაკვანდეთ მიზეზად შოროთისა; ჩუძნ ჩუძნი თავი ბოგონა მოწაფებად მისსა არა ვასხებიითი სიყვარულთა, არამედ სიძულადითა; დავსდევთ საფუძველად სიბრძნისა ჩუძნისა არა მსხვერპლი დავებისა მამისათანა, არამედ შური დათესილი ვანისა მიერ; ჩუძნ სულით შემოსილთა დაუტკვეთ ყოფნა სულიერებად და, რა მიუეტენით გულის-თქმათა შეაქმნენით ზიროსებებად, აჰა რადსათჳს, დავიგაწყეთ რა კანონნი ცხოვრებისანი გამომავალნი სულისაგან, ჩუძნ დაუმონენით კანონთა ხორციელებრითა;

ესე არც შეიძლებოდა სხუა ნაიწად; რამეთუ იტყვის მოციქული ჰაკლე: ერთითა სულითა ჩუძნ ყოველთა ერთისა მიმართ გუძამი სანათელადიეთ გინათუ ურიათა, გინათუ წარმართთა, გინათუ მონათა, გინათუ აზნაურთა, ზე ყოველთაჲ ერთისა მიმართ სულისა გვისუფნებს (ა კორ, 12, 13); ამისთჳს რომელ სხუა ზ სხუა გუძარნი წევრნი ერთისა მიმართ თავისა ზ ერთისა მიმართ გუძამისა განწყობილ არიან. ხოლო აწ ჩუძნ ერნა, განყოფილნი ხორცილთა ზ შეერთებულნი სულითა, ვიქცევით წინააღმდეგ დებულებისა ზ კანონ-

ნისა მოციქულისა: ჩუენ ვიპყრობთ ნათესაობითთა კაკშირთა ხორცით და გულ-ტკივნეულობისა ურთიერთისადმი: ხოლო სულიერს კაკშირს ვი ვერდებით. ნიუთიერს საზრდელს და სასმელს ჩუენ ვუყოთ ერთ-მანეთშია, ხოლო ქრისტეს ტრავებს უცხოობით. ჩუენ, სხუა და სხუა თესლნი ქრისტეანენი, გულსმოდგინედ წარკაფთ სალთა შინა მეგობართა ჩუენთასა, ხოლო სახლსა შინა ღუთისასა ადგილსა შეკრებისასა სხუა და სხუა გუერთა ქრისტეანებრივთა ერთა, მიუაფთ სინელით. სიტყუათა შინა და მოთხრობათა ჩუენთა ჩუენ გამოვსატავთ საწმუნოებასა და ნდობასა ურთიერთისადმი, ხოლო საწმუნოებასა შინა ღუთისა მიმართ ჩუენ ერთმანერთს არ ვეთანხმებით. ჩუენ უკუენი ვიწოდებით ქრისტეანებად და ვლით ერთით: და შითვე ბილივთა, ვაჩნა ვითარცა უგონო ქმნილნი, შეძრწუნებით ვერდებით ერთმანეთთან მოგზაურობასა. ღმერთმანცა, მიმხედველმან ჩუენსა უგუნურებასა დაგვიტევა ჩუენ და მოაკლო თვისი ზრუნვა ხორცსა ჩუენსა, ვითარცა ოდესმე ასულსა სიონისასა, და თითქმის უმეტესიცა, ვდრე ესე, „რამეთუ უკუელსა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიელონ მისგან“ (ლუკ. 12, 49); და აღმოჩენილი შემცოდეთ (უღირსად ხმაურებისათვის) უდიდესისა მადლისა ღირს არს ეგრეთვე უდიდესისაცა დასჯისა; ვინაოდგან სახიერება ღუთისა არს აყენებს მისსა მართლ-მსაჯულობასა, ოდესცა იგა არ ემთხვევა სინანულსა კაცის მხრით,

და რადგან ჩუენ ვსცოდეთ პირის-პირ სიუყარულის კანონსა და გარდავხედით მცნებასა მშვიდობისასა, ვერ შემწირველნი სინანულისანი, მისთვის მოწყალება ღუთისა ძლეულ-იქმნა მართლ-მსაჯულობითა მისითა, და მან (მართლ-მსაჯულებამან) მიგვიღო ჩუენ სულით ღელვაგვემულთა ეგრეთვე მშვიდობაცა ხორციელი. რომელ ესე ესრედ არს, დასამტკიცებელად სიტყუათა ჩემთა მსახურებს თვთ საქმე. მაშ საზოთხე ღუთისა პირველ უყოფილისა თვისისა მდგომარეობისაგან არს შეიქმნა რკინის სახმილად? მაშ არს დამდაბლებულ იქმნა, არს მრავალ ჯერ ძლეულ იყო უძლეველი შემძლებლობა ბერძენთა? — თქვენ

